ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 8 ივნისი, 2017 №134 (7369) ფასი: 50 თეთრი

თავისუფლება მუსტაფა ემრე ჩაბუქს!

გვ.3

6 ივნისიდან

ონორე დე ბალზაკი

გამქრალი ოცნებანი

წიგნი II

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

„ირაკლი კობახიძის გადადგომაზე ლაპარაკი სპეჭტაკლია“

გვ.2

ლევან ხაბეიშვილი: „ივანიშვილს მაჟორიტარული სისტემის შენარჩუნება სურს“

რატომ დააბრუნეს გიორგი ბადაშვილი პროკურატურაში

გვ.4

კახი კალაძეს თბილისის მერობის ყველაზე მეტი შანსი აქვს

„ხოშტარიას, ელისაშვილს და უდუმაშვილს შანსები არ აქვთ“

გვ.3

აზერბაიჯანელი უფლებადამცველები საქართველოს ახალ ბრალდებებს უყენებენ

„ექიმი ჯეირანლიც საქართველოში დააკავეს“

გვ.5

აზერბაიჯანში ამჟამად 165 პოლიტპატიმარია რეგისტრირებული

ლეილა მუსტაფაევა: „დაცვა ჩემი ქალიშვილის უსაფრთხოებიდან გამომდინარე მოვითხოვე“

გვ.7

„ირაკლი კობახიძის გადადგომაზე ლაპარაკი სპექტაკლია“

შორენა მარსაგიშვილი

რას ემსახურება ირაკლი კობახიძის ულტიმატუმი, რაზე ევაჭრება ხელისუფლება ოპოზიციას, რატომ დაუპირისპირდა „ოცნების“ დეპუტატი ჯანდაცვის მინისტრს, ვისგან უნდა გაიწმინდოს პოლიტიკა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.

– პარლამენტის სპიკერი გადადგომით დაიმუქრა, თუკი საკანონმდებლო ორგანო მხარს არ დაუჭერს არჩევნების ჩატარების წესის შეცვლას. კობახიძის ეს განცხადება ბევრმა სასაცილოდ მიიჩნია, თქვენ რას ფიქრობთ, ასე ძალიან უნდა კობახიძეს, რომ მაჟორიტარული არჩევნები გაუქმდეს?

– არჩევნების წესთან დაკავშირებით „ოცნებაში“ სიტუაცია სერიოზულად დაეძაბათ. პროპორციულ სისტემაზე გადასვლაში სერიოზული პრობლემები დაინახეს. ამიტომ რაღაც ზომების მიღება გადაწყვიტეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მართვის სადავეები ხელიდან გაექცევათ.

ანალოგიური ვითარებაა საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებითაც. ჯერ თქვეს, პრეზიდენტის არაპირდაპირო წესით არჩევა 2023 წლის არჩევნებამდე არ მოხდებაო. ახლა უმრავლესობის ლიდერები ამბობენ, რომ ეს ცვლილება 2018 წლის არჩევნებისთვის უნდა შევიდეს ძალაში.

აშკარაა, რომ „ოცნებაში“ ძალიან ეშინიათ არჩევნების. ამიტომაც გაუუქმეს 7 ქალაქს თვითმმართველის სტატუსი. ეს იმას ნიშნავს, რომ გაცილებით ნაკლები მერის არჩევა მოხდება. პრეზიდენტსაც თავად დაგვინიშნავენ. დარწმუ-

მაგათთვის რომ დაგვეჯერებინა, 2016 წლისთვის უკვე გაუქმებული უნდა ყოფილიყო ეს სისტემა, მაგრამ 2020 წლისთვისაც ვერ ელევიან. მაჟორიტარული სისტემა ნებისმიერი ხელისუფლებისთვის იმის ფუფუნებაა, რომ მინიმალური მხარდაჭერით მიიღოს მაქსიმალური მანდატები.

ნებული ვარ, მაჟორიტარულ სისტემასაც არ შეელევიან. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მოახერხებენ 48%-ით საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებას.

– პროპორციული სისტემით თუ ჩატარდა, მაშინ არ ექნებათ ამის შანსები?

– პროპორციულ სისტემაზე თუ გადავალთ, მაშინ ოპოზიციისთვის შედარებით უკეთესად გადანაწილდება ხმები. ამათ ესეც არ უნდათ და ყველაფერს აკეთებენ მაჟორიტარული ოლქების შესანარჩუნებლად. მაჟორიტარული ოლქების არგაუქმება გაძლევს იმის საშუალებას, რომ თუნდაც 35%-იანი მხარდაჭერით იყო საკონსტიტუციო უმრავლესობაში.

ეს სისტემა თავის დროზე მაჭავარიანმა და გოგორიშვილმა მოიფიქრეს. ამ მემკვიდრეობას ისინი ვერ ელევიან. არაა გამორიცხული, რომ 2020 წელსაც არჩევნები ძველი სისტემით ჩატარდეს.

– „ოცნებამ“ საჯაროდ დადო პირობა, რომ 2020 წლისთვის მაჟორიტარული არჩევნები აღარ იქნებოდა.

– მაგათთვის რომ დაგვეჯერებინა, 2016 წლისთვის უკვე გაუქმებული უნდა ყოფილიყო ეს სისტემა, მაგრამ 2020 წლისთვისაც ვერ ელევიან. მაჟორიტარული სისტემა ნებისმიერი ხელისუფლებისთვის იმის ფუფუნებაა, რომ მინიმალური მხარდაჭერით მიიღოს მაქსიმალური მანდატები.

– აბა კობახიძეს რა დაემართა, გუნდს დაუპირისპირდა?

– მისი ეს განცხადება სასაცილოა. შეუძლია ბავშვივით გაიბუტოს და კუთხეში დადგეს. ვის რაში აინტერესებს, იქნება თუ არა ეგ პარლა-

მენტის თავმჯდომარე. აქ მთავარია ივანიშვილი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, რომ მაჟორიტარულ სისტემას უჭერს მხარს.

– მაშინ გამოდის, რომ კობახიძე ივანიშვილს უპირისპირდება.

– არავისაც არ უპირისპირდება. ეს ყველაფერი არის სპექტაკლი. თამაშობენ დემოკრატიულობას, ვითომ პარლამენტის თავმჯდომარე ისეა მოწადინებული პროპორციული სისტემის შემოღებით, რომ მზადაა, გადადგეს.

დარწმუნებული ვარ, რომ ხელისუფლება პროპორციულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით დიდ ვაჭრობას გამართავს.

– ვაჭრობა ოპოზიციასთან გაიმართება?

– ოპოზიციასთანაც, არასამთავრობოებთანაც და დასავლეთთანაც. იტყვიან, რომ გუნდში ამ თემაზე აზრთა სხვადასხვაობაა და საკითხი დემოკრატიულად გადაწყდა. არის კიდევ ასეთი ვარიანტი, რომ პროპორციული სისტემის შემოღების სანაცვლოდ რაღაც ისეთ პირობებს შესთავაზებენ ოპოზიციას, რომ სათავეში სულ თავად იქნებიან. ოპოზიციაც დათანხმდება, ბიძინა ივანიშვილი კი 2050 წლამდე იქნება ამ ქვეყნის სათავეში.

– ოპოზიცია რატომ უნდა დათანხმდეს ასეთ შეთავაზებას?

– სად არის ოპოზიცია? ამ მიმართულებით ხელისუფლება თავს ძალიან კომფორტულად გრძნობს. სხვანაირად არც შეიძლება იყოს, როცა შენი ოპონენტები ინაშვილი და ბოკერია არიან.

ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მაჟორიტარული სისტემა შენარჩუნდეს. ამაში მათ მაჟორიტარებიც დაეხმარებიან, რომლებიც სინამდვილეში მინიგარქების წარმოადგენენ.

აბა გავიხსენოთ, ვინ დაიწყო იმაზე ყვირილი, რომ მაჟორიტარული სისტემა უნდა დარჩეს. ეს განცხადება პირველმა მინიგარქმა კახა ოქრიაშვილმა გააკეთა, რომელიც ამ სტატუსის დასაცავად თავგამოდებით იბრძვის. ახლა მას სხვა სადარდებელიც გამოუჩნდა.

– რა სადარდებელი?

– ამ დღეებში ჯანდაცვის მინისტრმა ძალიან კარგი განცხადება გააკეთა. მან მონოპოლიების წინააღმდეგ გაილაშქრა. მისი თქმით, ფარმაცევტულ კომპანიებს საავადმყოფოების მართვის უფლება აღარ უნდა ჰქონდეთ.

კახა ოქრიაშვილი აქამდე პარლამენტში მდუმარედ იჯდა, მაგრამ როგორც კი მინისტრის ინიციატივა მის ჯიბეს შეეხო, ეგრევე გამოვარდა და აყვირდა, სერგეენკოს ვინ ეკითხებაო.

– მისი თქმით, ეს მინისტრის მხრიდან ბიზნესში ჩარევაა.

– არანაირი ბიზნესში ჩარევა არ არის. ეს არის მონოპოლიების წინააღმდეგ გალაშქრება, კახა ოქრიაშვილი კი მონოპოლისტია. აბა ერთი ჩადით და ნახეთ, რა ხდება დმანისში. მთელი დმანისი იყიდა. ამას ასე მარტივად არ დათმობს.

ჩვენი პარტია აქტიურად მონაწილეობს უკრაინაში ჯანდაცვის რეფორმაში. იქ წამლები 2-3-ჯერ იაფია საქართველოსთან შედარებით. აქ ფარმაცევტულ ბაზარს რამდენიმე კომპანია ჰყავს დაპატრონებული და, როგორც უნდათ, ისე ზრდიან ფასებს.

იმედი მაქვს, ჯანდაცვის მინისტრი უკან არ დაიხევს. მონოპოლიები უნდა დაიშალოს, ასეთი მინიგარქები კი პარლამენტში ვეღარ უნდა მოხვდნენ. მისნაირ ტიპებს მონიშნული აქვთ ტერიტორიები და ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფ-

ლევან ხაბეიშვილი: „ივანიშვილს მაჟორიტარული სისტემის შენარჩუნება სურს“

ლებაში, ყველასთან ნახულობენ საერთო ენას.

– ოქრიაშვილის და სერგეენკოს დაპირისპირება ახსენეთ. სერგეენკო ივანიშვილთან დაახლოებული პირია. ოქრიაშვილს ვინ მფარველობს, რომ მას დაუპირისპირდა?

– კახა ოქრიაშვილს საკუთარი მილიონები მფარველობს. ეს კაცი ჩვენს ხარჯზე რომ შოულობს მილიონებს, პარტიასაც ახმარს. ის საკმაოდ კარგად აფინანსებდა „ოცნებას“. რამდენიმე მილიონი მიუტანა და ახლა ეუბნება, ჩემს ბიზნესს ნუ ეხები, ძმაო.

იგივე შემიძლია ვთქვა მაკრახიძეზე. რა უნდა ამ კაცს საერთოდ პარლამენტში. „ოცნების“ დამფინანსებელია და ამიტომაც გაუფორმა მას სახელმწიფომ 98 მილიონი ლარის ღირებულების კონტრაქტები.

ასეთი ხალხი, ბუნებრივია, შეეცდება, რომ მაჟორიტარული სისტემა შეინარჩუნონ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს „ოცნებასაც“ აწყობს, ყველაფერს გააკეთებენ მიზნის მისაღწევად.

– თქვენ ზემოთ ახსენეთ, რომ ხელისუფლება ოპოზიციასთან ამ თემაზე ივაჭრებს. ისიც თქვით, რომ ბოკერიას და ინაშვილის ოპოზიციაში ყოფნა ხელისუფლებისთვის კომფორტია. არასაპარლამენტო ოპოზიციაც ივაჭრებს ამაზე?

– სამწუხაროდ, ივაჭრებს. ყველაზე არ ვსაუბრობ, მაგრამ არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი ისედაც კარგად ვაჭრობს ამ ხელისუფლებასთან. ისინი ევაჭრებოდნენ სააკაშვილის ხელისუფლებას და ევაჭრებიან „ოცნებასაც“.

– ვისზე საუბრობთ?

– მათ ახლა არ დავასახელებ, მაგრამ მკითხველი წესით უნდა მიხვდეს, ვინც ვაჭრობს. ეს ხალხი წლებია, ასე ცხოვრობს. მათი გაკეთებული პოლიტიკა სუფთა ვერასდროს იქნება.

აბა კარგად დააკვირდით, კონკრეტული ოპოზიციონერები დასხდებიან ტელევიზიებში და რაღაც საკითხს ამოიჩემებენ. მერე მათთან მივა სუსი, მუსი თუ ვიღაც სხვა, ფულს გადაუხდიან და ისინიც გაჩერდებიან. აი, ესაა, სამწუხაროდ, დღეს ქართული პოლიტიკა და ამიტომაც ვართ ასეთ მდგომარეობაში.

ოპოზიციაში ყოფნა მარტივი არ არის და აქაც შეიძლება საქმის კეთება. მხოლოდ საუბარი და ხმამაღალი განცხადებები შედეგს არ მოიტანს. თუ მოინდომებ და სათანადო არგუმენტებიც გექნება, შედეგსაც მიაღწევ.

ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ სოციალურად დაუცველთა კუთხით. უფასო სასადილოებთან დაკავშირებით ხანგრძლივი დროის მანძილზე ვახორციელებდით მონიტორინგს. აღმოჩენილი დარღვევები პროკურატურას გადავეცით, პროკურატურამ კი სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

საქართველოში სოციალურად დაუცველ ოჯახებს 4 თვის მანძილზე დახმარებას უწყვეტენ, თუ ოჯახის წევრი გარდაიცვალა ან ახალი დაიბადა. ამ თემაზე თვეების მანძილზე ვედავებოდით ჯანდაცვის სამინისტროს. ამ დღეებში სამინისტრომ ჩვენი პოზიცია გაიზიარა და სოციალურად დაუცველებს ოჯახის წევრის დაბადების ან გარდაცვალების გამო დახმარებას აღარ შეუწყვეტენ.

– ამით იმის თქმა გინდათ, რომ თუ ოპოზიცია მოინდომებს, შედეგსაც მიიღებს?

– ფაქტი სახეზეა. თუ არ ივაჭრებ, სათანადო არგუმენტებს წარადგენ და გამოსავალსაც შესთავაზებ, შედეგს მიიღებ.

– ყველა სფეროში შესაძლებელია შედეგის მიღება?

– გააჩნია, როგორ მოინდომებს ოპოზიცია.

– შედეგის მისაღწევად ალბათ ოპოზიციის გაერთიანებაა საჭირო. თქვენი პარტია ხშირად საუბრობს ოპოზიციის გაერთიანების აუცილებლობაზე.

– ამაზე ადრე ხშირად ვსაუბრობდით, ჩვენ ვიყავით პირველები, ვინც თქვა, რომ ჯობდა, ამ არჩევნებზე ოპოზიციას ერთიანი კანდიდატი დაესახელებინა თბილისის მერად.

– ჯობდაო თქვით და ახლა ასე აღარ ფიქრობთ?

– ერთიანი კანდიდატურა თუ არ იქნება, „ოცნება“ მოიგებს, მაგრამ შესაძლოა უკეთესიც კი იყოს, რომ ოპოზიციას ერთიანი კანდიდატი არ ჰყავდეს. ამ თემაზე დიდი ვაჭრობა დაიწყება და ამაში მონაწილეობა არ ღირს.

შარშან საპარლამენტო არჩევნების წინ რამდენიმე ძალასთან ერთად საარჩევნო ბლოკი შევქმენით. სულ მეგონა, რომ ოპოზიციის ერთიანობა მნიშვნელოვანი იყო. ბლოკში ყოფნის დროს ბევრი ისეთი რამე ვნახე, რომ რაღაც გაერთიანებაში შესვლის სურვილი აღარ მაქვს.

– რა ნახეთ ასეთი?

იმედი მაქვს, ჯანდაცვის მინისტრი უკან არ დაიხევს. მონოპოლიები უნდა დაიშალოს, ოქრიაშვილის მსგავსი მინიგარქები კი პარლამენტში ვეღარ უნდა მოხვდნენ. მისნაირ ტიპებს მონიშნული აქვთ ტერიტორიები და ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, ყველასთან ნახულობენ საერთო ენას.

– რაღაცების დაკონკრეტება არ მინდა. სიაში ადგილებზე დიდი ვაჭრობა მიდიოდა, რაც ჩემთვის და ჩვენი გუნდისთვის მიუღებელია. სამწუხაროდ, პოლიტიკა ჩვეულებრივ ვაჭრობად გადაიქცა. მე კორუფციულ გარიგებებზე ხშირად გამომიქვეყნებია კვლევები. კორუფციაში გარეულებს ჩემთვის ხშირად შემოუთავაზებიათ ფული. მათი შემოთავაზება რომ მიმეღო, დღემდე ნაქირავებში არ ვიცხოვრებდი. მსგავს შეთავაზებას არც არასდროს მივიღებ.

მიმაჩნია, რომ პოლიტიკა არ არის ბინძური თუ მას სუფთა ადამიანები გააკეთებენ. საქართველოში ასეთი ხალხი არის. ახლა მთავარია, პოლიტიკა ბინძური ხალხისგან გაიწმინდოს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

კახი კალაძეს თბილისის მერობის ყველაზე მეტი შანსი აქვს

ნონა ცაბაძე

პარტიებმა აქტიურად დაიწყეს თბილისის მერობის კანდიდატების დასახელება. „ოცნებაში“ აღარ მალავენ, რომ მათი კანდიდატი კახი კალაძე იქნება, ნაციონალური მოძრაობა ზაალ უდუმაშვილის წამოყენებას აპირებს. ცნობილია „ევროპული საქართველოს“ კანდიდატი – ელენე ხოშტარია. არჩევნებში მონაწილეობას აპირებს ალეკო ელისაშვილიც.
მერობის კანდიდატების შანსებს „ახალ თაობასთან“ საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე და ფსიქოლოგი, ექსპერტი რამაზ საყვარელიძე აფასებენ.

„ხოშტარიას, ელისაშვილს და უდუმაშვილს შანსები არ აქვთ“

– ბატონო თორნიკე, ვის რა შანსი აქვს?

– ნამდვილად საინტერესოა უდუმაშვილის კანდიდატურა. ის ტელეწამყვანია, რუსთავი 2-ის სახე და მას ყველა იცნობს. ნაცმოძრაობას, სააკაშვილის ფაქტორიდან გამომდინარე, გარანტირებული რეიტინგი აქვს და ამ რეიტინგს წესით უნდა დაემატოს უდუმაშვილის პირადი რეიტინგი. გამარჯვებისთვის საკმარისი არ იქნება, თუმცა მაინც საინტერესო კანდიდატურაა.

– ალეკო ელისაშვილის კანდიდატურაც საინტერესოა?

– არჩევნებში ძალიან ბევრს წყვეტს ფული. ამიტომაც ელისაშვილის შანსებს პირადად მე დიდად არ შევაფასებდი. მას ჰქონდა თავის დროზე მშვენიერი რეიტინგი, მაგრამ მას შემდეგ, რაც თვითონვე წამოიწყო ეს გაუგებრობა, ვგულისხმობ ეკა ბესელიას და მანანა კობახიძის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას, კომიკურად დასრულდა ეს ყველაფერი და ამით ელისაშვილის რეპუტაცია საგრძნობლად შეილახა. ასე რომ, ელისაშვილს გამარჯვების შანსი ნამდვილად არ აქვს! გაცილებით მეტი შანსი აქვს უდუმაშვილს. ელისაშვილი შეძლებს კონკურენცია გაუწიოს ელენე ხოშტარიას და მეტი არაფერი.

– რას იტყვით კალაძის კანდიდატურის შესახებ?

– ეს ოფიციალურად ჯერ არ დაუდასტურებიათ, მაგრამ კალაძე თავისთავად საინტერესო კანდიდატურაა, იმიტომ, რომ კალაძე არის „ქართულ ოცნებაში“ ყველაზე ძლიერი ფიგურა, თუნდაც იმიტომ, რომ იგი არ არის ბიძინა ივანიშვილის შემოქმედება, ის დამოუკიდებელი ფიგურაა. კიდევ უფრო გაძლიერდება მისი გავლენა, როცა თბილისის მერი იქნება. საკითხავი აქ ერთი რამ არის.

– კონკრეტულად?

– თავად კალაძის ინტერესებში რამდენად შედის თბილისის მერობა? ეს ხომ არ არის მისთვის ტრამპლინი, რომ შემდეგ უფრო მეტი მოინდომოს.

– საუბარია იმაზეც, რომ მის კანდიდატურაზე გუნდში სერიოზული აზრთა სხვადასხვაობაა. დაუჭერს გუნდი მის კანდიდატურას მხარს? თუ ბოლო სიტყვა ივანიშვილზეა?

– მთავარი სიტყვა ბიძინა ივანიშვილზე იქნება. ჩვენ ვლაპარაკობთ გუნდზე, მაგრამ რეალურად ვგულისხმობთ ერთ კაცს. ეს გუნდი ამ კაცმა შექმნა თავიდან ბოლომდე. ამიტომ ეს არის ყველაზე საინტერესო, რას იზამს თავად ბიძინა ივანიშვილი? საბოლოო ჯამში მისცემს თუ არა კალაძეს მერობის შანსს?

– შესაძლოა, არ მისცეს?

– დღეს ძალიან ბევრი ფიქრობს, რომ კალაძე ივანიშვილისთვის შესაძლოა სახიფათო იყოს.

– რა თვალსაზრისით?

– არ ვიცით, რამდენად აწყობს ივანიშვილს კალაძის გაძლიერება. ივანიშვილი ძალიან ჭკვიანი ადამიანია, ჭკვიანურად თამაშობს პოლიტიკაში, ასე რომ, თუკი კალაძეს მისცემს შანსს, ამის უკან აუცილებლად რაღაც გათვლა იქნება. ივანიშვილი არ დაუშვებს იმას, რომ ასეთი ძლიერი პოლიტიკური ფიგურა გამოჩნდეს. ასე რომ, ივანიშვილისთვის კალაძის მერობა სულ სხვა რამეზე შეიძლება იყოს გათვლილი.

– რა გათვლა უნდა ჰქონდეს ივანიშვილს? გააფუჭოს როგორც პერსპექტიული პოლიტიკოსი?

– გაფუჭება საკმაოდ იოლია, იმიტომ, რომ თბილისელებს დღეს ძალიან არ მოსწონთ ის სიტუაცია, რაც მერიაშია შექმნილი. ამას აბრალებენ ნარმანიას, ამ პრობლემების მოგვარება უკვე ძალიან რთულია და კალაძემ თუ ეს ვერ მოახერხა, მერე მასზე გაბრაზდება მთელი თბილისი. პლუს ამას კალაძეც არ არის თბილისელი და ეს ოდესღაც თბილისელებს გაახსენდებათ, რომ ბოლოს და ბოლოს თბილისელი მერი უნდათ. არ არის გამორიცხული, ჯოხი გადატყდეს კალაძეზე.

– თუკი „ოცნების“ კანდიდატი კალაძე იქნება, ოპოზიციას შანსი არა აქვს? ან რატომ არ წამოაყენეს ერთიანი კანდიდატი? ყველა არჩევნების წინ საუბრობენ ამის შესახებ.

– ერთიანი კანდიდატი რომც წამოაყენონ, შანსი მაინც არ აქვთ. გარდა ამისა, არანაირი შანსი არაა „ევროპული საქართველოს“ და ნაციონალების შერიგების.

– მივა საქმე მეორე ტურამდე?

– დღევანდელი ვითარებით, არ უნდა მივიდეს, მაგრამ თუ კიდევ გაგრძელდა ისეთი სისტემური კრიზისი, როგორიც უკვე გამოიხატა აზერბაიჯანელი ჟურნალისტის საქმეში, ფარცხალაძის საქმეში და ასე შემდეგ, მერე უკვე არაა გამორიცხული, რომ „ოცნებას“ გაუჭირდეს. დღევანდელი მოცემულობით კალაძემ პირველივე ტურში უნდა მოიგოს.

– დღესაც სერიოზული პრობლემებია „ოცნებაში“, გადალახავენ ამ კრიზისს?

– ჯერჯერობით ეს დაპირისპირება სერიოზულად გარეთ არ გამოსულა. კრიზისი არის კონსტიტუციასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს მაჟორიტარული წესის გაუქმებას და ეს თემა ძალიან ბევრს არ მოსწონს. სწორედ ამით არის კრიზისი გამოწვეული, როგორც კი მაჟორიტარები გარანტიებს მიიღებენ, ისინი ჩამოეხსნებიან „ოცნებას“ და კრიზისიც აღარ იქნება.

❖ ❖ ❖

ექსპერტ რამაზ საყვარელიძის თქმით, მას ჯერ არ შეხვედრია ადამიანი, რომელსაც არ ესიმპათიურებოდეს ისეთი ახალგაზრდა, ენერგიული და გონიერი ქალი, როგორიც ელენე ხოშტარიაა, მაგრამ მან თავის უბანშიც წააგო.

– ანუ მერობის შანსი ნაკლებად აქვს?

– იცით, რა იყო არსებითი ამ მარცხში? მისი პიროვნული თვისებები ნამდვილად არ იყო. საზოგადოებისთვის მიუღებელი იყო ის პარტია, რომელსაც ის წარმოადგენდა და სწორედ ამიტომ წააგო.

– დღეს ხომ გაიყო ეს პარტია და ხოშტარია მეორე მხარესაა?

– მე მექმნება შთაბეჭდილება, რომ გაყოფის მიუხედავად, „ევროპულ საქართველოსაც“ ნაციონალებად აღიქვამენ. ისეთი სპეციფიკური ფიგურებია იქ, როგორიც ბოკერიაა და სხვანი. ამიტომ ეს დამოკიდებულება, რაც ხალხს ნაციონალების მიმართ აქვს, მათდამიც ექნება. ამიტომ ამ კანდიდატებს, რომლებიც წარმოდგენილია ნაციონალური მოძრაობიდან და „ევროპული საქართველოდან“, მეეჭვება, მერად გასვლის შანსი ჰქონდეთ.

– როგორი პოპულარული სახეებიც უნდა იყვნენ?

– დიახ. მერის პორტფელის აღება ბევრს მატებს ყველა იმ პარტიას, რომელიც ამას მოახერხებს, პოლიტიკური ძალის თვალსაზრისით. ნახევარი საქართველო დღეს თბილისშია და, შესაბამისად, ამ ნახევარი საქართველოს კონტროლი ბარდება მერს.

დანარჩენ ფიგურებს შორის გამოვყოფდი ელისაშვილს, რომელსაც ძალიან დიდი პლუსი აქვს ის, რომ ჯერჯერობით პარტიების ფონის გარეშე ფიგურირებს მისი სახელი, მაგრამ, მეორე მხრივ, პარტია ძალიან ეხმარება ხოლმე თავის კანდიდატს ორგანიზაციულად, პროპაგანდისტულად. ასეთი დახმარება ელისაშვილს არ ექნება, რაც მას ბევრ რამეს დააკლებს.

სამაგიეროდ, ანალოგიური დახმარება ექნება კახი კალაძეს. ამასთანავე, კახი კალაძეს აქვს მოსახლეობასთან დიალოგის უნარი. ეს ყველაფერი კახი კალაძეს ანიჭებს უპირატესობას ამ ოთხთა ბრძოლაში.

– ხედავთ მეორე ტურის ალბათობას?

– სიმართლე გითხრათ, ვერ ვხედავ. სავარაუდოა, რომ „ოცნება“ დიდი უპირატესობით მოიგებს. თუმცა მე მეორე ტურს ვისურვებდი იმ თვალსაზრისით, რომ უფრო ჯანსაღი პოლიტიკური ორთაბრძოლის სახე ექნება ამას, თუკი მეორე ტურში გადავა თემა.

– ვისმენთ შეფასებებს, რომ ვისი კანდიდატურაც არ უნდა წამოაყენოს „ოცნებამ“, ის მაინც მოიგებს ამ არჩევნებს. ასეა?

– მათ უზარმაზარი რესურსი აქვთ, თუმცა კალაძის კანდიდატურას თავისთავად უკვე ბევრი პლუსი გააჩნია.

– კალაძის მერობა „ქართულ ოცნებას“ იმიჯს გამოუსწორებს?

– მაგ დამოკიდებულებაში ალბათ არის საღი მარცვალი, რადგანაც „ქართული ოცნების“ იმიჯში ყველაზე მძიმე არის ის, რომ მას მიეკერა უნიათობის იარლიყი. ვერ ახორციელებს იმასაც კი, რაც აწყობს და რაც განზრახული აქვს. ასეთი უნიათობის იარლიყით „ოცნება“ კიდევ უფრო „გააძლიერა“ ნარმანიამ, რომელიც არ არის ორგანიზატორი. კალაძე კი გაცილებით ენერგიულია. ხოლო კალაძის ენერგიულობა შეიძლება გახდეს „ოცნების“ ამ ხარვეზის გადამფარავი და მისმა შემხედვარე ადამიანებმა აღარ თქვან, უნიათოა ეს პარტიაო.

თავისუფლება მუსტაფა ემრე ჩაბუქს!

თბილისში მისი მხარდასაჭერი აქციები გაიმართა

– „მასწავლებლობა დანაშაული არაა“, „არ გადასცეთ ჩაბუქი თურქეთის ხელისუფლებას“, „თავისუფლება მუსტაფა ემრე ჩაბუქს“, – ამ სლოგანებით თბილისში, მთავრობის ადმინისტრაციასთან დემირელის კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის, მუსტაფა ემრე ჩაბუქის სოლიდარობის აქცია გაიმართა.

აქციაზე შეიკრიბნენ ჩაბუქის ოჯახის წევრები, მეგობრები და მესამე სექტორის წარმომადგენლები, ასევე შავი ზღვის უნივერსიტეტის სტუდენტები და პედაგოგები.

აქციის მონაწილეებმა მოუწოდეს საქართველოს მთავრობას, არ გადასცეს ჩაბუქი თურქეთის ხელისუფლებას, ასევე მიანიჭოს მას და მის ოჯახს ლტოლვილის სტატუსი, რაც ჩაბუქის თურქეთში ექსტრადირების პროცესს შეაჩერებს.

აქციაზე პერფომანსი დაიდგა. ჩაბუქის მხარდამჭერებმა მასწავლებელი განასახიერეს, რომელიც სასწავლო პროცესს ბორკილებდადებული უძღვება.

მუსტაფა ემრე ჩაბუქის მეუღლის თუფა ჩაბუქის განცხადებით, მან უკვე შეიტანა თხოვნა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში პოლიტიკური თავშესაფრის მინიჭების თაობაზე.

– ჩემი ყველაზე დიდი სურვილია, გაიმარჯვოს სამართლიანობამ. გუშინ მოვითხოვეთ ლტოლვილის სტატუსი და იმედი გვაქვს, ჩვენს მოთხოვნას დააკმაყოფილებენ, – განაცხადა თუფა ჩაბუქმა.

აქციის დასრულების შემდეგ ჩაბუქის მხარდამჭერებმა თბილისის პარლამენტთან გადაინაცვლეს, სადაც კიდევ ერთი აქცია გაიმართა.

დემირელის კოლეჯის მენეჯერი მუსტაფა ემრე ჩაბუქი თურქეთის მოთხოვნით 24 მაისს დააკავეს.

თურქული მხარე მას ფეთჰულა გიულენის ტერორისტულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობაში ადანაშაულებს. თბილისის საქალაქო სასამართლომ ჩაბუქს 3-თვიანი წინასაექსტრადიციო პატიმრობა შეუფარდა.

მედიანიუსი

რატომ დააბრუნეს გიორგი ბადაშვილი პროკურატურაში

შორენა მარსაგიშვილი

4 ივნისს ცნობილი გახდა, რომ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსმა გიორგი ბადაშვილმა თანამდებობა დატოვა. პატრიოტთა ალიანსის წევრმა ლადო სადღობელაშვილმა მაშინ „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, რომ ბადაშვილს მთავარ პროკურატურაში გადაიყვანდნენ და მისთვის სპეციალურად ახალ შტატსაც შექმნიდნენ.

ალიანსელის წინასწარმეტყველება ძალიან მოკლე ვადაში ახდა. ბადაშვილს ახალი სამსახური 2 დღეში შეუქმნეს. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, თეა წულუკიანმა ბადაშვილისთვის მთავარი პროკურორის მოადგილის შტატი საგანგებოდ დაუშვა.

აქამდე მთავარ პროკურორს მხოლოდ 3 მოადგილე ჰყავდა. ერთი პირველი და ორი – ჩვეულებრივი. ამიერიდან ირაკლი შოთაძეს 4 მოადგილე ეყოლება. მისი მეოთხე მოადგილე ბადაშვილი იქნება, რომელიც სულ ახლო წარსულში თავად იყო მთავარი პროკურორი, ირაკლი შოთაძე კი მისი მოადგილე გახლდათ.

იუსტიციის მინისტრი კატეგორიულად უარყოფს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ბადაშვილისთვის პროკურატურაში ახალი სამუშაო ადგილი შექმნა. მისი თქმით, დამატებითი მოადგილე თავად ირაკლი შოთაძემ მოითხოვა.

საინტერესოა, რომ ეს მოთხოვნა ბადაშვილის გადადგომის შემდეგ გაჩნდა. წულუკიანმა ბრძანებას 6 ივნისს მოაწერა ხელი.

ხელისუფლების კულუარებში ადასტურებენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ბადაშვილის სხვა უწყებაში გადაყვანა ოთარ ფარცხალაძის და ლაშა თორდიას ინციდენტს უკავშირდება.

ლადო სადღობელაშვილის თქმით, ბიძინა ივანიშვილმა ფარცხალაძეზე ხელი ჩაიქნია და მის დაცვას აღარ აპირებს. პირველი მეოცნების ბრძანებით გაუშვეს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო ნაწილიდან მთელი გუნდი.

ოპოზიციის მტკიცებით, ოთარ ფარცხალაძე აკონტროლებდა როგორც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო ნაწილს, ასევე პროკურატურას. ბადაშვილიც და შოთაძეც მისი გუნდის წევრებად მოიაზრებიან.

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ირმა ნადირაშვილი ყოფილი მთავარი პროკურორის მოადგილედ გადაყვანას ფარცხალაძესა და დიმიტრი ქუმსიშვილს შორის მომხდარ ინციდენტს უკავშირებს.

– ფაქტია, რომ ის გადაიყვანეს სწორედ იმის გამო ახალ პოზიციაზე, რომ ფარცხალაძეს ზოგადად გაუჩნდა პრობლემები და გადაიყვანეს იმ უწყებაში, რომელსაც ისევ ფარცხალაძე აკონტროლებს. ეს არის არაფორმალური მმართველობის მახინჯი ფორმის კიდევ ერთი დადასტურება.

აშკარაა, რომ ფარცხალაძე ქუმსიშვილთან უთანხმოების გამო პოზიციას კარგავს, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ მან პასუხი არ აგო, როცა თავს დაესხა ადამიანს და ფიზიკურად გაუსწორდა, არც იმ კორუფციული გარიგებების გამო, რომლებზეც ინფორმაციები არსებობს, – განუცხადა ნადირაშვილმა პირველ რადიოს.

ლადო სადღობელაშვილი კი მიიჩნევს, რომ ძალიან მალე რეალური მთავარი პროკურორი ისევ ბადაშვილი გახდება.

ყოფილი მთავარი პროკურორის პროკურატურაში დაბრუნებამ არასამთავრობო სექტორს ეჭვები გაუჩინა.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილს აინტერესებს, რატომ დაბრუნდა ბადაშვილი იქ, სადაც თავი ვერაფრით გამოიჩინა.

– ადამიანი, რომელიც იყო მთავარი პროკურორის პოზიციაზე არაერთი წელი და, რომელმაც ვერ გამოიჩინა თავი და ვერც მისი ხელმძღვანელობის ქვეშ ამ უწყებამ ვერ გამოიჩინა თავი, პირიქით, იყო ბევრი კითხვა ძალიან ბევრ საქმეზე თუ ტენდენციებზე, რითი არის განპირობებული და რითი საბუთდება ის, რომ ეს ადამიანი კვლავ ბრუნდება ამ უწყებაში, მით უმეტეს, კონკრეტული საეჭვო პროცედურის მეშვეობით? – კითხულობს ანა ნაცვლიშვილი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური ინტერესდება, თუ რა მოტივით განხორციელდა ეს საკადრო გადაადგილება.

– საზოგადოებამ ვერ გაიგო, ამ პიროვნებების გადაადგილებებით რა ხდება, ამ ადამიანის გამაგრება თუ პირიქით, ჩვენ უნდა ვიცოდეთ ძალიან მკაფიოდ, რატომ ხდება ამ ადამიანის დანიშვნა კონკრეტულ თანამდებობაზე, – ასეთია ეკა გიგაურის პოზიცია.

❖ ❖ ❖

რაც შეეხება ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს, გავრცელებული ინფორმაციით, მის უფროსად გიორგი თვაური ინიშნება. ფინანსთა სამინისტროს პრესსამსახურში ამ ინფორმაციას ჯერ არ ადასტურებენ.

თვაური წინა ხელისუფლების დროს ჯერ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას ხელმძღვანელობდა, ხოლო შემდეგ ამავე სამინისტროს სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი იყო.

2012 წლიდან იგი შსს-ს გენინსპექციის უფროსის მოადგილის პოზიციაზე დასაქმდა. ხოლო 2013 წლიდან, ირაკლი ღარიბაშვილის ბრძანებით, თვაური ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსად დაინიშნა.

დეკანოზ გიორგი მამალაძის ოჯახი ადვოკატების გარეშე პატრიარქთან შეხვედრაზე უარს ამბობს

– არ სურთ პატრიარქმა სიმართლე გაიგოს, ამიტომაც ადვოკატებთან ერთად პატრიარქთან შეხვედრაზე უარი გვითხრეს, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ დეკანოზ გიორგი მამალაძის ძმამ, თორნიკე მამალაძემ განუცხადა.

თორნიკე მამალაძის განცხადებით, მას არ სურს პატრიარქთან შეხვედრას მხოლოდ დალოცვის ფორმა ჰქონდეს და მის კითხვებს პასუხები ვერ გასცეს, ამიტომაც, ამ ეტაპზე, ადვოკატების გარეშე უწმინდესთან შეხვედრაზე უარს აცხადებს.

– წინა კვირას მოვითხოვე პატრიარქთან შეხვედრა, ოჯახს ერთ-ერთმა მამაომ გვიშუამდგომლა. დავუკონკრეტე, რომ პატრიარქთან შეხვედრა ადვოკატებთან ერთად მინდოდა. თავდაპირველად დამთანხმდნენ, მაგრამ შემდეგ ადვოკატები რატომღაც დაბლოკეს და გამაგებინეს, რომ შეხვედრაზე ადვოკატები არ დაიშვებოდნენ.

რა თქმა უნდა, პატრიარქთან შეხვედრა ყველა ადამიანისთვის ბედნიერებაა, მაგრამ მხოლოდ დალოცვის ფორმა რომ არ ჰქონოდა ამ შეხვედრას, მე განვაცხადე შეხვედრაზე უარი. პატრიარქს კითხვები რომ გასჩენოდა დეკანოზის საქმეზე, მე ვერ გავცემდი პასუხებს გამომდინარე იქიდან, რომ ადვოკატებს გაუთქმელობის პირობა აქვთ და საქმის დეტალები ამიტომაც არ ვიცი.

ადვოკატების შესვლა რატომღაც არ უნდათ. პატრიარქთან მისასვლელი ბარიერი რომ უნდა გადავლახოთ, იმ ხალხს არ სურს ჩვენი პატრიარქთან შესვლა, იმიტომ, რომ არ სურთ პატრიარქმა სიმართლე გაიგოს, – განაცხადა თორნიკე მამალაძემ.

ამასთან, თორნიკე მამალაძის მტკიცებით, პატრიარქს დეკანოზის უდანაშაულობაში ეჭვი არ ეპარებოდა, თუმცა ადვოკატებმა მასთან შეხვედრა ვეღარ მოახერხეს.

– როცა პატრიარქი გერმანიიდან ჩამობრძანდა, ადვოკატებს შეხვდა. მათ გააცნეს ყველაფერი, რაც იმ დროისთვის იცოდნენ. პატრიარქმა დაუდასტურა, რომ მამა გიორგის უდანაშაულობაში ეჭვი არ ეპარებოდა. იმ დღიდან დღემდე, არაერთხელ მოვითხოვეთ პატრიარქთან შეხვედრა ადვოკატებთან ერთად, მაგრამ ყოველთვის უარყოფითი პასუხი გვქონდა, – განაცხადა თორნიკე მამალაძემ.

თორნიკე მამალაძეს არ დაუკონკრეტებია, ვინ ბლოკავს ადვოკატებთან ერთად ოჯახის შეხვედრას საპატრიარქოში.

ირაკლი კობახიძე: „კომიკურია საუბარი იმაზე, რომ შესაძლოა შეიქმნას „მხედრიონი“, „მაშველთა კორპუსი“

– აბსოლუტურად კომიკური იყო საუბარი იმაზე, რომ შესაძლოა შეიქმნას „მხედრიონი“, „მაშველთა კორპუსი“ და ა.შ. – ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

როგორც კობახიძემ აღნიშნა, იმისათვის, რომ ასეთი საუბრის საბაბი მოიხსნას, შესაძლოა კონსტიტუციაში ტერმინოლოგია დაზუსტდეს.

–კონსტიტუციაში თავდაცვასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეგულაციები არის აბსოლუტურად ბუნდოვანი, თუმცა ჩვენ მიერ წარმოდგენილი ცვლილებებით, ეს ხარვეზები კონსტიტუციაში თავიდან ბოლომდე არის გამოსწორებული. ჩვენ ამ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან შეხვედრა გვქონდა, გავიარეთ თითოეული ნორმა, რაც არის წარმოდგენილი და დავრწმუნდით, რომ ეს ცვლილებები, მოვიყვან პრეზიდენტის ადმინისტრაციის ციტატას, „არ შეუქმნის დაბრკოლებას ქვეყნის საქართველოს, ნატო-სკენ ინტეგრაციის გზაზე“.

ამაზე აქვს საუბარი პრეზიდენტის ადმინისტრაციას, რეალურად ამ ნაწილში კონსტიტუცია არის დაუხვეწავი და ყველაფერი არის აღმოფხვრილი. იყო გარკვეული შენიშვნები კონკრეტულ ტერმინებთან, მაგალითად, შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებით და იქ კონსენსუსი მიიღწევა იმისათვის, რომ ბუნდოვანება გამოირიცხოს. აბსოლუტურად არაადეკვატური იყო ის შეფასებები, რომელიც ამ შეფასებებს უკავშირდებოდა. აბსოლუტურად კომიკური იყო საუბარი იმაზე, რომ შესაძლოა შეიქმნას „მხედრიონი“, „მაშველთა კორპუსი“ და ა.შ. იმისთვის, რომ ყოველგვარი საბაბი მოვხსნათ რაიმეზე საუბრის, შესაძლოა ტერმინოლოგია დაზუსტდეს ამ მიმართულებით, – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების ის მონაკვეთები განიხილეს, რომელიც თავდაცვას და უსაფრთხოებას ეხება. კომიტეტმა ცვლილებებს მხარი დაუჭირა.

„ამერიკის ხმა: „ვაშინგტონში ამბობენ, რომ 2008 წელს საქართველოსთვის მაპზე უარის თქმა სტრატეგიული შეცდომა იყო“

საერთაშორისო და სტრატეგიული კვლევების ცენტრში კონფერენცია გაიმართა, სადაც ამერიკის ყოფილმა ტოპ დიპლომატებმა და მიმომხილველებმა ევროპის და ამერიკის უსაფრთხოების დაცვაში ნატო-ს მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

როგორც „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქცია წერს, საარჩევნო კამპანიის დროს, ამერიკის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ნატო-ს „მოძველებული“ უწოდა, რამაც ვაშინგტონში პოლიტიკოსთა და მიმომხილველთა შეშფოთება გამოიწვია, ასევე გაურკვევლობა შესძინა იმას, თუ რამდენად მზადაა ამერიკის ახალი ადმინისტრაცია დაიცვას მისი ევროპელი პარტნიორები და შეინარჩუნოს ალიანსის „ღია კარის პოლიტიკა“.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, ვაშინგტონში ამბობენ, რომ 2008 წელს საქართველოსთვის მაპზე უარის თქმა, სტრატეგიული შეცდომა იყო, რამაც რუსეთს საშუალება მისცა, აგრესიული ნაბიჯები გადაედგა და შეჭრილიყო საქართველოსა და უკრაინაში.

– მე ვფიქრობ, შეცდომა იყო საქართველოსთვის 2008 წელს წევრობის სამოქმედო გეგმის არ მიცემა. მე ამას ვამბობ, როგორც ადამიანი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ნატოს გაფართოების პირველ რაუნდში, როდესაც მიიღეს პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი და სლოვაკეთი, მაშინ ვფიქრობდი, რომ მათი უსაფრთხოების გზა რუსეთთან კარგ ურთიერთობაზე გადის.

2008 წლისთვის ნათელი იყო, რომ რუსებმა არჩევანი გააკეთეს და გადაწყვიტეს დამდგარიყვნენ არა მარტო ევროპული უსაფრთხოების წინააღმდეგ, არამედ ასევე მმართველობის, გამჭვირვალობისა და სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ ემოქმედათ, რაც ევროპის უსაფრთხოების ფუნდამენტია და ასევე ამერიკასთან ურთიერთობებს საფუძველს აძლევს. მე ვფიქრობ, 2008 წელს ჩვენ შეცდომა დავუშვით, ვინაიდან იმ დროისთვის უკვე ნათელი იყო, თუ საით მიდიოდა რუსეთის ხელისუფლება. ვისურვებდი, სხვანაირი გადაწყვეტილება მიგვეღო, – განაცხადა სტენფორდის უნივერსიტეტის მკვლევარმა კორი შეიკმა.

– რუსეთი ზრდის სამხედრო შესაძლებლობებს, მათ ბევრი ინვესტიცია ჩადეს ამ მიმართულებით და ეს ჩვენ სირიის შემთხვევაში ვიხილეთ. ევროპელები შეშფოთებულნი არიან, განსაკუთრებით ისინი, ვინც რუსეთს შეუპოვრად ეწინააღმდეგება, ვგულისხმობ ბალტიისპირეთის ქვეყნებს. საქართველოს და უკრაინისგან განსხვავებით, პუტინი ნატოს ქვეყნებს არ შეხებია. მაგალითად, ბალტიისპირეთს, რაც აჩვენებს ნატოს ძალას. ჩვენ სწორად ვიქცევით, როდესაც გამაფრთხილებელ ნაბიჯებს ვდგამთ და პუტინს ვაჩვენებთ, რომ არ გაბედოს ამ რისკზე წასვლა. მე ვფიქრობ, ის მხოლოდ იმ შემთხვევაში მოქმედებს, როდესაც ხედავს, რომ რისკები დაბალია და შესაძლებლობები მაღალი. ამიტომ, ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ ისე, რომ მას დამატებითი შესაძლებლობები არ მიეცეს, – აღნიშნა საგარეო ურთიერთობების საბჭოს წევრმა ელიოტ აბრამსმა.

მიმომხილველების თქმით, ნატოს მიერ ახალი წევრების მიღება და ალიანსის გაფართოების მხარდაჭერა, რუსეთის აგრესიის შეკავების ეფექტური გზაა.

– ნატოს გაფართოების მთავარი მიზანი, ქვეყნებისთვის შესაძლებლობის მიცემაა, რომ შეუერთდნენ ალიანსს.

თავად გაწევრიანების პროცესი დადებითი მოვლენაა. ის წყვეტს პრობლემებს სამხედრო, მმართველობის და ტერიტორიული მთლიანობის კუთხით. ანუ იმ მიმართულებებით, რომლის გაუმჯობესებასაც ქვეყნები თავადაც უნდა ცდილობდნენ, თუ მათ სურთ ჰქონდეთ მდგრადი სახელმწიფო და იყვნენ დასავლეთის სანდო პარტნიორები. „ღია კარის პოლიტიკა“ პოზიტიური მოვლენაა და ვფიქრობ, აუცილებელია მისი შენარჩუნება და შევინარჩუნებთ კიდეც, – აღნიშნა ჰერიტიჯის ფონდის ვიცე-პრეზიდენტმა საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის საკითხებში ჯეიმს კარაფანომ.

მათი თქმით, ნატო უსაფრთხოების მნიშვნელოვანი გარანტია ევროპასა და მის მიღმა და სწორედ ამიტომ, ვაშინგტონმა უნდა გააგრძელოს ალიანსის აქტიური მხარდაჭერა და ამასთან, მხარი დაუჭიროს ახალი წევრების მიღებას.

მიუხედავად წევრობის არცთუ ახლო პერსპექტივისა, ისინი მოუწოდებენ ასპირანტ ქვეყნებს, გააგრძელონ რეფორმების გატარება ინსტიტუტების და სამხედრო შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით.

– ნატო-ში გაწევრიანების გზა ღიაა, თუმცა ეს არ მოხდება უახლოეს მომავალში. მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნებმა, როგორიცაა საქართველო, გააგრძელონ ამერიკასთან თანამშრომლობა და განავითარონ თავიანთი თავდაცვითი შესაძლებლობები, რათა არავისთვის არ იყოს ხელსაყრელი მათთვის ზიანის მიყენების პერსპექტივა, – განაცხადა ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის ცენტრის წარმომადგენელმა ერიკ ედელმანმა.

აზერბაიჯანელი უფლებადამცველები საქართველოს ახალ ბრალდებებს უყენებენ

მარიამ მჭედლიშვილი

ქართველი ჟურნალისტები და არასამთავრობო ორგანიზაციები აგრძელებენ საპროტესტო აქციებს თბილისიდან გაუჩინარებული, აზერბაიჯანში დაკავებული აფგან მუხთარლის მიმართ სოლიდარობის გამო. გამოძიებას ჯერჯერობით არ გაუცია პასუხები ამ საქმესთან დაკავშირებულ შეკითხვებზე.

ამასობაში აზერბაიჯანელი უფლებადამცველები ბაქოში საუბრობენ სხვა პოლიტდევნილებსა და პოლიტპატიმრებზე და მათ საქართველოსთან აკავშირებენ.

ამ დღეებში აზერბაიჯანში წინასწარი დაკავების საკანში გარდაცვლილი ნახეს აზერბაიჯანის ხელისუფლების აქტიური ოპონენტი მეხმან გალანდაროვი. გამოძიება მიმდინარეობს თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით. ამის გამო იზოლატორის ორი თანამშრომელი გათავისუფლებულია სამსახურიდან.

თვითმკვლელობის ვერსიის ყველას არ სჯერა. თვითმკვლელობის შემთხვევაშიც და მაშინაც, თუ ის მოკლეს, ალიევის პოლიტპატიმრების დამცველები ამაში საქართველოს კვალს ხედავენ.

აზერბაიჯანის პოლიტპატიმართა მონიტორინგის ცენტრის ხელმძღვანელის, ელშან ჰა-

„ექიმი ჯეირანლიც საქართველოში დააკავეს“

სანოვის განცხადებით, მეხმან გალანდაროვი იდევნებოდა. მან თავშესაფარი ითხოვა საქართველოში, რაზეც უარი მიიღო. გალანდაროვი იძულებული იყო, დაბრუნებულიყო აზერბაიჯანში, სადაც დააპატიმრეს.

მისი ინფორმაციით, საგამოძიებო ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის „გატაცებამდე“ საქართველოში იმყოფებოდა აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის თავმჯდომარის მოადგილე გეზლალ ბაირამლი. იგი ბაქოში დაბრუნებისთანავე დააკავეს.

აზერბაიჯანელი უფლებადამცველები საქართველოში აზერბაიჯანელ აქტივისტებსა და ოპოზიციონერებზე ზეწოლას სპეციალურ ანგარიშს მიუძღვნიან.

ელშან ჰასანოვის თქმით, მეხმან გალანდაროვის, აფგან მუხთარლის, გეზლალ ბაირამლის ისტორიების გარდა, საქართველოში სხვა საგანგაშო ფაქტებიც მოხდა. იგი ამ კონტექსტში ახსენებს კლინიკა „ლანცეტის“ დამფუძნებელ ფარმან ჯეირანლისაც:

– საქართველოში არის სხვა საგანგაშო ფაქტებიც. საქართველოში ცხოვრების ნებართვა გაუუქმეს აქტივისტ დაშგინ აგალაროვს, ქვეყნის დატოვება მოსთხოვეს აქტივისტ ვიდადი ისკენდეროვს, დაპატიმრებულია ექიმი ფარმან ჯეირანოვი.

აზერბაიჯანის პოლიტპატიმართა დაცვის ცენტრმა შესწორება შეიტანა პოლიტპატიმართა სიაში. არსებულ ნუსხას დაემატა 4 ახლად დაპატიმრებული და გამოაკლდა წინასწარი დაკავების იზოლატორში დაღუპული მეხმან გალანდაროვი. ამჟამად აზერბაიჯანში 165 პოლიტპატიმარია აღრიცხული.

აზერბაიჯანის პოლიტპატიმართა დაცვის ცენტრი 27 იანვარს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ ჩამოაყალიბა.

ამ ცენტრში გაერთიანებული ალიანსის „აზერბაიჯანი პოლიტპატიმრების გარეშე“ ხელმძღვანელი ოგტაი გიულალიევი აღნიშნავს, რომ საზოგადოებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებზე ზეწოლის გაძლიერება ორი თვის წინ დაიწყო.

ამ პერიოდს უკავშირდება ასევე ბაქოში ინტერნეტტელევიზია „კანალ 13“-ის დამფუძნებლის, აზიზ ორუჯევის დაკავება, ასევე დაბა ნარ-

აზერბაიჯანში ამჟამად 165 პოლიტპატიმარია რეგისტრირებული

დარანში ნატიგ შახბაზოვის აყვანა. შახბაზოვი ოჯახის მეოთხე წევრია, რომელსაც პოლიტპატიმრის სტატუსი მიეკუთვნა. დანარჩენები 2015 წლის ნოემბერში ნარდარანში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დააკავეს.

– ამ ადამიანთა სისხლის სამართლებრივი დევნის პოლიტიკური მოტივები ეჭვს არ იწვევს. ისინი შეესაბამება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ პოლიტპატიმრის ცნების კრიტერიუმებს, – აცხადებენ აზერბაიჯანელი უფლებადამცველები.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები არჩევნებამდე 60 დღეზე ადრე ვერ დაინიშნება

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დანიშვნა არჩევნებამდე მხოლოდ 60 დღით ადრე იქნება შესაძლებელი – ის 60 დღეზე ადრე ვერ დაინიშნება.

ამასთან დაკავშირებით პარლამენტში უკვე ინიცირებულია „საარჩევნო კოდექსში“ შესატანი ცვლილებები, რომელიც „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა მოამზადეს.

დღეს მოქმედი კოდექსით, პრეზიდენტი საკრებულოს, მერისა და გამგებლების მორიგ არჩევნებს, პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით, მათი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 60 დღისა ნიშნავს, რაც იმას გულისხმობს, რომ არჩევნების დანიშვნა არჩევნებამდე 60-დღეზე ადრეც არის შესაძლებელი. პარლამენტში ინიცირებული პროექტით კი, თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები მისი დანიშვნის დღიდან 60 დღის ვადაში უნდა გაიმართოს.

კანონპროექტის ინიციატორები არიან პარლამენტის წევრები: ეკა ბესელია, გიორგი ვოლსკი, ვანო ზარდიაშვილი, ნინო გოგუაძე, ანრი ოხანაშვილი, ივლიანე წულაია, ლევან გოგიჩაიშვილი, გურამ მაჭარაშვილი, გიორგი ხატიძე, გია ბენაშვილი, დიმიტრი სამხარაძე, გედევან ფოფხაძე, დავით მათიკაშვილი, ოთარ ჩრდილელი, გიორგი კახიანი.

ეკა გიგაური: „ხელისუფლებას ჰყავს მოსამართლეებთან საკონტაქტო კონკრეტული პირი – ზარდიაშვილი“

– ხელისუფლებას ჰყავს კონკრეტული საკონტაქტო პირი ზარდიაშვილი, რომელიც ეკონტაქტება კონკრეტულ მოსამართლეებს, ამ შემთხვევაში ჩინჩალაძეს, მურუსიძეს და მათ კოლეგებს, – ამის შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა ეკა გიგაურმა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შორის გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომელიც სასამართლო სისტემაში შექმნილ ვითარებას შეეხებოდა.

– მთავარი გამოსავალი არის ის, რომ ხელისუფლებამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა იმ პორობლემებთან დაკავშირებით, რაც გვაქვს სასამართლო სისტემაში. ის, რომ ისინი არ ერევიან სასამართლო სისტემაში, ტყუილია. მათ ჰყავთ კონკრეტული საკონტაქტო პირი ზარდიაშვილი, რომელიც ეკონტაქტება კონკრეტულ მოსამართლეებს, ამ შემთხვევაში, ჩინჩალაძეს, მურუსიძეს და მათ კოლეგებს. ამის შემდეგ უკვე ხდება მოსამართლეების კლანის მეშვეობით სასამართლოზე გავლენა, განსაკუთრებით პოლიტიკურად სენსიტიურ საქმეებთან დაკავშირებით. უახლოეს მომავალში მთავრობამ საზოგადოებას უნდა ანახოს ნაბიჯები იმისკენ, რომ კლანური სისტემა დაასრულოს სასამართლო სისტემაში, – განაცხადა გიგაურმა.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეხვედრაზე სასამართლო სისტემაზე ისაუბრეს, სადაც წარმოადგინეს ვიდეორგოლი. ვიდეოში საუბარი იყო, რომ ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ვანო ზარდიაშვილი არის საკონტაქტო პირი საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას შორის.

ცესკოს თავმჯდომარის არჩევის წესი იცვლება

ცესკოს თავმჯდომარის არჩევის პროცესში, ცესკოში საუკეთესო შედეგის მქონე პარტიის წარმომადგენელიც და პარლამენტის მიერ არჩეული წევრებიც მიიღებენ მონაწილეობას, რასაც დღეს მოქმედი კანონი არ უშვებს.

ცესკოს თავმჯდომარის არჩევის წესი „საარჩევნო კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებების პროექტით იცვლება, რომელიც „ქართული ოცნების“ დეპუტატების მიერ არის ინიცირებული.

მოქმედი „საარჩევნო კოდექსის“ გათვალისწინებით, ცესკოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ გადაწყვეტილებას ცესკოში მხოლოდ პარტიების მიერ დანიშნული წევრები იღებენ, თუმცა ამ პროცესში საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე პარტიის მიერ დანიშნული წევრი არ იღებს მონაწილეობას. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუკი თავმჯდომარეს ცესკო ვერ აირჩევს, პროცესი პარლამენტში გადადის.

საარჩევნო კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებებით, ცესკოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ გადაწყვეტილებას ცესკო სრული შემადგენლობის ორი მესამედით მიიღებს ან მისი არჩევა პარლამენტში მოხდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებებით, ცესკოში წევრების დანიშვნა პარტიის საბიუჯეტო დაფინანსების ნაცვლად, პარტიის მიერ ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მიღებული ხმების რაოდენობასთან იქნება დაკავშირებული.

სერგო რატიანი: „საარჩევნო კოდექსში დაგეგმილი ცვლილებები არაადეკვატური უპირატესობის მოპოვების მცდელობაა“

„ევროპული საქართველოს“ წევრი სერგო რატიანი „საარჩევნო კოდექსში“ დაგეგმილ ცვლილებებს ხელისუფლების მხრიდან არაადეკვატური უპირატესობის მოპოვების მცდელობად აფასებს.

როგორც რატიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, ეს არის კიდევ ერთი მცდელობა ხელისუფლების მხრიდან, რომ მოირგონ კანონმდებლობა საკუთარ თავზე და არასამართლიანად ჩაატარონ არჩევნები.

– ყველა შესაძლო ცვლილება, რომელიც მოდის „ქართული ოცნების“ მხრიდან, არის საკუთარ თავზე მორგება ყველა კანონმდებლობის და სრულიად არაადეკვატური უპირატესობის მოპოვების მცდელობა. ეს არის კიდევ ერთი მცდელობა იმის, რომ მოირგონ კანონმდებლობა საკუთარ თავზე და არასამართლიანად ჩაატარონ არჩევნები. ჰყავდათ ერთი წევრი და ახლა ჰყავთ ოთხი. ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ მათ შეუძლიათ დანარჩენი წევრების არსებობის შემთხვევაშიც კი, თვითონ გადაწყვიტონ ნებისმიერი საკითხი, – განაცხადა რატიანმა.

ცესკოში წევრების დანიშვნა პარტიის საბიუჯეტო დაფინანსების ნაცვლად, პარტიის მიერ ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მიღებული ხმების რაოდენობასთან იქნება დაკავშირებული. საუბარია ცესკოს იმ შვიდ წევრზე, რომელიც პარტიების მიერ ინიშნება.

„ქართული ოცნების“ დეპუტატების მიერ ინიცირებულია „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებების პროექტი, რომელიც სხვა ცვლილებებთან ერთად, პოლიტიკური გაერთიანებების მიერ ცესკოს წევრების დანიშვნისა და მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტის ახალი პროცედურების შემოღებას ითვალისწინებს.

კერძოდ, პარტიები ცესკოს წევრს შემდეგი წესით დანიშნავენ: – პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უნდა გამრავლდეს 7-ზე და გაიყოს არჩევნებში მონაწილე პარტიების მიერ მიღებული ხმების რაოდენობათა ჯამზე. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი წარმოადგენს ცესკოს წევრთა რაოდენობას, რომელთა დანიშვნის უფლებაც პარტიას ექნება.

ამასთან, პარტია, რომელიც პარლამენტში წარმოდგენილია ფრაქციით და არჩევნებში საარჩევნო ბლოკის მეშვეობით მონაწილეობდა, მის მიერ მიღებული ამომრჩეველთა ხმების რაოდენობის დასადგენად, ბლოკის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა ბლოკში შემავალ პარტიათა რაოდენობაზე გაიყოფა.

ცვლილების ძალაში შესვლის დროდ განისაზღვრა 2017 წლის ადგი-

ლობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებული ყველა სახის შემაჯამებელი ოქმის ცესკოს მიერ დადგენილი წესით გამოქვეყნებიდან მეორე დღე.

კანონპროექტის ინიციატორები არის პარლამენტის წევრები: ეკა ბესელია, გიორგი ვოლსკი, ვანო ზარდიაშვილი, ნინო გოგუაძე, ანრი ოხანაშვილი, ივლიანე წულაია, გურამ მაჭარაშვილი, ლევან გოგიჩაიშვილი, გიორგი ხატიძე, გია ბენაშვილი, დიმიტრი სამხარაძე, გედევან ფოფხაძე, დავით მათიკაშვილი, ოთარ ჩრდილელი, გიორგი კახიანი.

ამჟამად ცესკოში პარტიული წარმომადგენლობა იმ პოლიტიკური სუბიექტის მიერ არის დანიშნული, რომლებიც ბიუჯეტიდან მეტ დაფინანსებას იღებენ.

ვანო ზარდიაშვილი: „ნებისმიერ ეთერში დავჯდები დებატებში ეკა გიგაურთან, თუ იგი მორჩება ჭორაობას“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ვანო ზარდიაშვილი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს დებატებში იწვევს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ზარდიაშვილმა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დღეს გავრცელებული ვიდეორგოლის საპასუხოდ განუცხადა, ხელისუფლებისა და სასამართლოს შტოებს შორის მისი შუამავლად წარმოჩენა, ჭორაობაა.

– დიახ, ვაღიარებ, რომ ნამდვილად ვლობირებ დამოუკიდებელი სასამართლოს განვითარებას და შექმნას. დიახ, ნამდვილად ვლობირებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, როგორც დამოუკიდებელ კონსტიტუციურ ორგანოდ განვითარებას და შექმნას. ნამდვილად ვლობირებ ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობას და სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებას.

რაც შეეხება კონკრეტულ ბრალდებებს არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, მე მზად ვარ ნებისმიერ ღია სატელევიზიო ეთერში შევხვდე მათ. თუ ისინი ჭორაობას დაანებებენ თავს და თუ კონკრეტული კითხვის ნიშნები არსებობს რაიმე საქმეებთან დაკავშირებით, მზად ვარ დეტალური პასუხები გავცე. მათ თუ ეს გზა არ აირჩიეს, მათი ნებისმიერი მოქმედება და ბრალდება არის ცილისწამება და, შესაბამისად, მოვუწოდებ მათ, რომ ეს შეწყვიტონ. ნებისმიერ ღია ეთერში მე დიდი სიამოვნებით დავჯდები დებატებში ქალბატონ ეკა გიგაურთან, თუ იგი მორჩება ჭორაობას და ისაუბრებს ფაქტებით, მტკიცებულებებით და რეალური ვითარებიდან გამომდინარე, – განაცხადა გიგაურმა.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა დღეს ვიდეორგოლის პრეზენტაცია გამართეს, რომელიც „სასამართლო სისტემის კლანურ მმართველობასა და ხელისუფლების შტოებს შორის კონტაქტს ასახავს“. ვიდეორგოლის მიხედვით, ერთ-ერთი საკონტაქტო პირი ამ ორ შტოს შორის, არის იურიდიული საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვანო ზარდიაშვილი.

რა ხარვეზები აქვს ქართულ ეკონომიკას?

– თუ ცხოვრება გაძვირდა და შემოსავლების ზრდა არ მომხდარა, ეს ნიშნავს, რომ საშუალო სტატისტიკური ქართველი კი არ გამდიდრდა, არამედ გაღარიბდა, – ამის შესახებ საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის გამგეობის

თავმჯდომარემ, გია ხუხაშვილმა რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „ეკონომისტის დრო ლევან ქისტაურთან ერთად“ ისაუბრა.

ხუხაშვილის თქმით, როცა ქვეყანაში სოციალური რისკები არ მცირდება, მაკროეკონომიკური პარამეტრებით საუბარი არ შეიძლება.

– დღევანდელ ეკონომიკურ პოლიტიკაში, წინასთან შედარებით, პოზიტივები არსებობს. ეს პოლიტიკა გარკვეულწილად უფრო ჰუმანურია გადასახადის გადამხდელის მიმართ, მაგრამ ძირითადი ცვლილებები სისტემურ ხასიათს არ ატარებს. მაკროეკონომიკური პარამეტრებით საუბარი, თუ ქვეყანაში სოციალური რისკები არ მცირდება, უბრალოდ შეუძლებელია.

მით უმეტეს, თუ გრძელვადიანი სტრატეგიული ამოცანები ნელა ან საერთოდ არ სრულდება. 2012 წლის შემდეგ მოსახლეობის შემოსავლები ფაქტობრივად არ გაზრდილა, ინდექსაცია არ მომხდარა და სამომხმარებლო კალათა დამძიმდა. მარტივად რომ ვთქვათ, ცხოვრება გაძვირდა.

თუ ცხოვრება გაძვირდა და შემოსავლების ზრდა არ მომხდარა, ეს ნიშნავს, რომ საშუალო სტატისტიკური ქართველი კი არ გამდიდრდა, არამედ გაღარიბდა, – აღნიშნა ხუხაშვილმა.

ამასთან, მან ის სამი ძირითადი ხარვეზი დაასახელა, რომელიც დღევანდელ ეკონომიკას გააჩნია და განვითარებაში ხელს უშლის.

– დღევანდელ ეკონომიკას სამი ძირითადი ხარვეზი აქვს, რაც მას განვითარების საშუალებას არ აძლევს და სოციალურ სფეროშიც არა თუ უკეთესობა, არამედ გაუარესება გვაქვს. პირველი არის ე.წ. ნომენკლატურული კაპიტალური ურთიერთობები, რაც ნიშნავს იმას, რომ გარკვეულ სფეროებში ბიზნესი ხელისუფლებაში ინტეგრირებულია. მეორე არის ბიზნესების მონოპოლიზაცია, რაც ფაქტობრივად, კონკურენციას კლავს. მესამე ხარვეზი კი ის არის, რომ ეკონომიკის რეალური სექტორი ძალიან სუსტი გვაქვს. სწორედ რეალურმა სექტორმა უნდა უზრუნველყოს გრძელვადიანი ეკონომიკური სტაბილურობა. როცა ეს სექტორი სუსტია, სტაბილურობაც არ გვაქვს, – განმარტა გია ხუხაშვილმა.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსად გიორგი თვაური ინიშნება

„თაიმერის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსად გიორგი თვაური ინიშნება, რომელიც ამ დრომდე ხელმძღვანელობს ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს.

შეგახსენებთ, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური რამდენიმე მაღალჩინოსანმა დატოვა, მათ შორის მისმა ხელმძღვანელმა გიორგი ბადაშვილმაც.

რამდენიმე დღის წინ, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ განაცხადა, რომ გიორგი ბადაშვილი საქმიანობას ძალოვან სისტემაში გააგრძელებს, თუმცა ამ დრომდე ოფიციალური განცხადება ამასთან დაკავშირებით ჯერ არ გაკეთებულა.

ბადაშვილის წასვლა ფარცხალაძის სკანდალს უკავშირდება, რადგან, როგორც კულუარული წყაროდან გახდა ცნობილი, სწორედ ფარცხალაძე აკონტროლებდა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს. გიორგი თვაურის დანიშვნით უწყება ანუ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ქუმსიშვილის რეალურ დაქვემდებარებაში შედის, რაც არც ერთი ხელისუფლების დროს არ მომხდარა, მათ შორის ნაციონალების მმართველობის პერიოდშიც.

„ლარის განახლების პროცესი გრძელდება“

2017 წლის პირველი სექტემბრიდან საქართველოს ეროვნული ბანკი მიმოქცევაში 5 ლარის ნომინალის განახლებულ ბანკნოტებს გაუშვებს, ამის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

განახლებული 5 ლარი მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან გამოვა და მიმოქცევაში იქნება წინა ემისიების ბანკნოტებთან ერთად.

განახლებულ ბანკნოტზე შენარჩუნებულია თავდაპირველი თემატიკა: წინა მხარეს გამოსახულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის განსხვავებული პორტრეტი გაუმჯობესებული რელიეფურობის ხარისხითა და მოცულობით.

ბანკნოტის უკანა მხარეს/რევერსზე გამოსახულია ნიკო ფიროსმანის ტილოები – „მეთევზე წითელ პერანგში“ და „კალო“. ასევე, საქართველოს სახელმწიფო გერბი.

– 5 ლარის ნომინალის განახლებული ბანკნოტი დაცულია მომხმარებლისათვის მარტივად აღქმადი და ამავე დროს, თანამედროვე დამცავი ნიშნებით. მათ შორის დატანილია ნომინალის ამომცნობი ნიშანი სუსტი მხედველობის მქონე პირთათვის.

განახლებული ბანკნოტები დამზადებულია ისეთი მასალებისა და დამცავი მექანიზმების გამოყენებით, რომლებიც ზრდის მიმოქცევაში მათ მდგრადობას დაბინძურებისა და ბუნებრივი ცვეთისადმი, – განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ.

განახლებული 5 ლარის ნომინალის ბანკნოტის დიზაინის ავტორი ბაჩა მალაზონიაა.

10 ლარის ნომინალის განახლებული ბანკნოტი მოგვიანებით გამოვა, რაზეც საქართველოს ეროვნული ბანკი მოახდენს მოსახლეობის ინფორმირებას.

ინფორმაციისთვის, შეგახსენებთ, რომ 20 და 50 ლარის ნომინალის განახლებული ბანკნოტები მიმოქცევაშია 2016 წლის 1 თებერვლიდან, ხოლო 100 ლარის ნომინალის განახლებული ბანკნოტი მიმოქცევაშია 2016 წლის 1 ნოემბრიდან.

დამსაქმებლებს შრომის უსაფრთხოების სამსახურის შექმნის ვალდებულება დაეკისრებათ

პარლამენტს შრომის უსაფრთხოების შესახებ საკანონმდებლო პაკეტი წარედგინა. პროექტის ავტორი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ინიციატორი კი საქართველოს მთავრობაა.

როგორც კანონპროექტშია აღნიშნული, მისი მოქმედება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე გავრცელდება. ამ სამუშაოთა ჩამონათვალს კი კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს.

პროექტის მიხედვით, ყველა პირი, რომელიც საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად აწარმოებს მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებს, ვალდებული იქნება საქმიანობა შესაბამისი საქმიანობის ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში დაარეგისტრიროს. ამ რეგისტრაციის გარეშე მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოების საქმიანობის განხორციელება აკრძალული იქნება.

მსგავსი ტიპის სამუშაოების განხორციელება ამ საქმიანობის რეგისტრაციის გარეშე ან საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი რეგისტრირებული მონაცემის ცვლილების ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში არასახვა გამოიწვევს დამსაქმებლის 500 ლარით დაჯარიმებას. ხოლო იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, 1 000 ლარის ოდენობით დაჯარიმებას გამოიწვევს.

ამასთან, პარლამენტში ინიცირებული პროექტით, შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასახული ამოცანების ორგანიზებისა და პრევენციის დოკუმენტის შესაბამისად, 2019 წლის 1 იანვრიდან დამსაქმებელი ვალდებულია, საწარმოში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი დანიშნოს ან ამ მიზნით სპეციალური სამსახური შექმნას.

– დამსაქმებელს, რომელსაც ჰყავს 20 და ნაკლები დასაქმებული, შეუძლია პირადად შეასრულოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროფესიული მოვალეობები იმ პირობით, თუ მას ან მის წარმომადგენელს გავლილი აქვს სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და პირველადი სამედიცინო დახმარების სასწავლო კურსი. 20-დან 100-მდე დასაქმებულის შემთხვევაში, დამსაქმებელი ვალდებულია დანიშნოს შრომის უსაფრთხოების მინიმუმ ერთი სპეციალისტი. 100 და მეტი დასაქმებულის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური, – ნათქვამია კანონპროექტში.

კანონპროექტის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებული იქნება მუშაობის პერიოდში დასაქმებული უბედური შემთხვევის დაზღვევით უზრუნველყოს. როგორც პროექტშია აღნიშნული, კანონის ეს პუნქტი 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება.

მუნიციპალურ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდა მობილური აპლიკაციითაც იქნება შესაძლებელი

მუნიციპალურ ტრანსპორტში გადახდის ახალი სისტემა ამოქმედდება. დედაქალაქის მერიის ინფორმაციით, ახალი თანამედროვე სისტემა მგზავრის კომფორტზე იქნება გათვლილი და მომხმარებელს საშუალებას მისცემს სწრაფი გადახდის აპარატებით, ბანკში და ინტერნეტ გვერდის საშუალებით შეიძინოს როგორც ერთჯერადი, ასევე ვადიანი სამგზავრო აბონენტები, რომლებსაც სისტემაში ჩართული ბანკები უზრუნველყოფენ.

სისტემის დანერგვის შემდეგ შესაძლებელი იქნება, ავტობუსში გადახდისთვის მომხმარებელმა გამოიყენოს ქართული ბანკების მიერ გამოშვებული საბანკო ბარათები, სატრანსპორტო ბარათი, ასევე ვირტუალური გადახდის საშუალებები, როგორიცაა მობილური ტელეფონი ან სურვილისამებრ შეიძინონ სატრანსპორტო ბარათები.

ქართული ბანკების მიერ გამოშვებული ბარათებით გადახდისას მომხმარებელი დამატებით არ გადაიხდის საბანკო მომსახურების საკომისიოს. ამავე პროექტის ფარგლებში გამოიცვლება ავტობუსებში არსებული მოძველებული ვალიდატორები – გადახდის აპარატები, რომლებიც ახალი, თანამედროვე აპარატურით ჩანაცვლდება.

ამასთან, მგზავრობის არსებული ტარიფი უცვლელი დარჩება. გარდა ამისა, ტურისტებს საშუალება ექნებათ, მგზავრობის ღირებულება როგორც საქართველოში გამოშვებული სატრანსპორტო ბარათებით, ასევე უცხოური საბანკო ბარათებით გადაიხადონ.

ახალი სისტემა მოიცავს დისპეტჩერიზაციის ავტომატურ სისტემასაც, რომლის საშუალებითაც მეტი სიზუსტით იქნება შესაძლებელი ავტობუსის განრიგის და მოსვლის დროის კონტროლი. დაიხვეწება საინფორმაციო ვებგვერდი და მობილური აპლიკაცია.

ყაზბეგიდან საზაფხულო ჩარტერული ფრენები დაიწყო

კომპანიამ „ყაზბეგი Helicopters“ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მიმართულებით ჩარტერული რეისების შესრულება დაიწყო. როგორც „რეგინფოს“ კომპანიის წარმომადგენელმა ვატო ასათაშვილმა განუცხადა, რეისები „Eurocopter B3 სერიის“ ხუთადგილიანი ვერტმფრენებით თბილისის, ბათუმის, მესტიის, ყვარლის, ბორჯომის, თუშეთის, ქუთაისის მიმართულებით შეკვეთით სრულდება.

სხვადასხვა მიმართულებით შესაძლებელია წრიული, საქორწინო, სამაშველო ფრენების შესრულება და ტვირთის გადაზიდვა.

– ჩვენი ძირითადი საქმიანობა ტურიზმია და წლებია უკვე ამ მიმართულებით მხოლოდ ზამთრის სეზონზე ვმუშაობდით. „თიბისი ბანკის“ პროგრამა „სტარტაპერის“ ფარგლებში 100 ათას ლარის ოდენობით სესხი ავიღეთ და ახლა შეგვიძლია მთელი წლის განმავლობაში, ყველა სეზონზე ვიფრინოთ. ძირითადი სერვისი წრიული ფრენაა, რომელიც გვაძლევს საშუალებას, მოკლე დროში შემოვუფრინოთ ყაზბეგს, გერგეტს, მყინვარებს და სხვადასხვა ხეობებს. მეორე სერვისია ჩარტერული ფრენა, რომელიც გვაძლევს ფრენის საშუალებას ყაზბეგიდან თბილისში და ყაზბეგიდან გუდაურში, ასევე სხვადასხვა მიმართულებებით. მესამე სერვისი გულისხმობს ტვირთის გადაზიდვას ისეთ რთულად მისადგომ ადგილებში, სადაც სხვა სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება შეზღუდულია. იმ მთებზე, სადაც ვერტმფრენი არ დაფრინავს, შეგვიძლია ჯგუფები ავიყვანოთ თოვლის მანქანით და ისრიალონ, ან უბრალოდ დაათვალიერონ. ჩვენი ვერტმფრენები შეგვიძლია გამოვიყენოთ სამაშველო დანიშნულებისთვის, თუ ვინმეს გადაუდებელი დახმარება სჭირდება,– უთხრა „რეგინფოს“ ვატო ასათაშვილმა.

ყაზბეგში წრიული კლასიკური ფრენის ღირებულება (10 წუთი) 400 ევროა. 20 წუთით ფრენა კი 750 ევრო ღირს. 1100 ევრო ღირს 30 წუთით წრიული ფრენა.

თბილისი დასავლეთი – ყაზბეგი – თბილისი ჩარტერული რეისის ღირებულება 3 200 ევროა. გუდაური – ყაზბეგი – თბილისი – 950 ევრო; თბილისი – გუდაური – თბილისი – 2100 ევრო; თბილისი – მესტია – თბილისი – 6300 ევრო; თბილისი – ქუთაისი – თბილისი – 4900 ევრო; თბილისი – ომალო – თბილისი – 3150 ევრო; თბილისი – ბათუმი – თბილისი – 7000 ევრო; თბილისი – ბორჯომი – თბილისი – 2800 ევრო; თბილისი – ყვარელი – თბილისი – 2100 ევრო.

არჩილ თალაკვაძე: „აფგან მუხთარლის საქმეზე 100-ზე მეტი ადამიანი დაიკითხა“

აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის საქმეზე 100-ზე მეტი ადამიანი დაიკითხა და კამერებიდან 30-ზე მეტი ჩანაწერია ამოღებული, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ „არჩევანში“ განაცხადა.

როგორც თალაკვაძემ აღნიშნა, მომხდარის შემდეგ გამოძიება დაიწყო დაუყოვნებლივ.

– სასამართლო განჩინებებით ამოღებულია 30-ზე მეტი ვიდეო კამერის ჩანაწერი. მიდის სკანირების ეტაპი ტელეანძებთან დაკავშირებით. 100-ზე მეტი ადამიანი არის დაკითხული და ეს პროცესი მიმდინარეობს.

ასევე, საქართველომ მიმართა აზერბაიჯანის მხარეს და მოითხოვა უზრუნველყოფა, რომ ჩვენმა გამომძიებლებმა დაკითხონ მუხთარლი აზერბაიჯანის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და ეს დაკითხვის ოქმიც რომ დაერთოს საქმეს, – განაცხადა თალაკვაძემ.

ოჯახში ძალადობის ორ ფაქტზე გამოძიება დაიწყო

ოჯახში ძალადობის ორ ფაქტზე გამოძიება დაიწყო. საქართველოს პროკურატურამ სახალხო დამცველის ორ წინადადებაზე შესაბამისი რეაგირება განახორციელა. ამის შესახებ ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ინფორმაციით, 5 ივნისს, საქართველოს მთავარ პროკურატურაში სახალხო დამცველის ორი წინადადება შემოვიდა, რომელზეც პროკურატურის მითითებით შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულებში დაიწყო გამოძიება.

– საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გორის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება მოქალაქე ე.თ.-ს მიმართ შვილის მხრიდან ოჯახში განხორციელებულ ძალადობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ოზურგეთის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება ნ.ქ.-ს და მისი არასრულწლოვანი შვილების მიმართ მეუღლის მხრიდან განხორციელებული ოჯახში ძალადობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

მითითებულ სისხლის სამართლის საქმეებზე ტარდება აქტიური საგამოძიებო მოქმედებები, – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

„მინდა, არასამთავრობო სექტორს ვუსურვო, რომ იყოს უფრო თანმიმდევრული თავის რჩევებში“

იუსტიციის მინისტრი არასამთავრობო ორგანიზაციების სასამართლო სისტემაში კლანურ მმართველობაზე განცხადებებს გამოეხმაურა. თეა წულუკიანი უარყოფს, რომ მოსამართლეებსა და ხელისუფლებას შორის კონკრეტული შუამავალი პირები არსებობენ.

– მინდა, არასამთავრობო სექტორს ვუსურვო, რომ იყოს უფრო თანმიმდევრული თავის რჩევებში მთავრობისადმი, იუსტიციის მინისტრისადმი, – აცხადებს წულუკიანი და მესამე სექტორს სასამართლო სისტემის გაუმჯობესებაზე მუშაობას ურჩევს.

ლეილა მუსტაფაევა: „დაცვა ჩემი ქალიშვილის უსაფრთხოებიდან გამომდინარე მოვითხოვე“

აზერბაიჯანელი ჟურნალისტის მეუღლეს ლეილა მუსტაფაევასა და ორი მოწმისთვის დაცვის დანიშვნის საკითხი უახლოეს პერიოდში გადაწყდება. ამის შესახებ ჟურნალისტებს ძველი თბილისის სამმართველოს პირველი განყოფილებიდან გამოსვლის შემდეგ ლეილა მუსტაფაევამ და მისმა ადვოკატმა არჩილ ჩოფიკაშვილმა განუცხადეს.

დაცვის სპეციალურ ღონისძიებებთან დაკავშირებით კონსულტაციები ლეილა მუსტაფაევასთან და მის ადვოკატთან ერთად ძველი თბილისის სამმართველოს პირველ განყოფილებაში ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა.

– ჩემი ოჯახის, კერძოდ, ჩემი და ჩემი შვილის უსაფრთხოების ტექნიკურ საკითხზე ვიმსჯელეთ. თუ როგორ და როდიდან უნდა განხორციელდეს ეს. უწყების თანამშრომლები კიდევ ერთხელ დამიკავშირდებიან და მომაწვდიან დეტალურ ინფორმაციას. მე პირველ რიგში დაცვის უზრუნველყოფა ჩემი ქალიშვილის უსაფრთხოებიდან გამომდინარე მოვითხოვე, – განაცხადა შეხვედრიდან გამოსვლის შემდეგ ლეილა მუსტაფაევამ.

ადვოკატ არჩილ ჩოფიკაშვილის თქმით, დაცვის ღონისძიებები ასევე განხორციელდება ორი მოწმის მიმართ, რომლებიც საქმეში ფიგურირებენ.

– მათთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილება იქნება მიღებული, თუმცა ველოდებით, როდის განხორციელდება ეს, – განაცხადა ადვოკატმა.

მისივე თქმით, აღნიშნული ორი მოწმე აფგანის მეგობრები არიან, რომლებთან ერთადაც ის იმყოფებოდა. ეს ორი მოწმეა აღარ არლი დაშკინი და რაჰიმ შალიევი. ადვოკატის განცხადებით, კანონით გათვალისწინებული დაცვის დანიშვნის აუცილებლობა იყო და კარგია, რომ ეს ადეკვატურად იყო აღქმული.

სოსო ბარათაშვილი: „მუსტაფა ემრე ჩაბუქის საქართველოდან ექსტრადირება ამ ეტაპზე ვერ მოხდება“

დემირელის კოლეჯის ერთ-ერთი ხელმძღვანელის მუსტაფა ემრე ჩაბუქის საქართველოდან ექსტრადირება ამ ეტაპზე ვერ მოხდება. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ჩაბუქის ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა განუცხადა.

მისი განმარტებით, დაწყებულია მუსტაფა ემრე ჩაბუქისთვის საქართველოს მიერ სტატუსის მინიჭების საქმის წარმოება, რაც ექსტრადირებას ავტომატურად კრძალავს.

– მუსტაფა ემრე ჩაბუქის საქართველოდან ექსტრადირება დღეის მდგომარეობით ვერ მოხდება, ვინაიდან ლტოლვილთა სამინისტროში განხილვის პროცესშია მისი განაცხადი თავშესაფრისა და ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საქმეზე.

სანამ ეს საკითხი არ გადაწყდება, დაუშვებელია, რომ მუსტაფა ემრე ჩაბუქის ექსტრადირება მოხდეს. ეს არ ნიშნავს, რომ ექსტრადირების მიზანშეწონილობის საკითხის შესწავლა საერთოდ შეწყდება. თუმცა თუ ემრე ჩაბუქის განაცხადი დაკმაყოფილდა და სტატუსი მიენიჭა, მისი გადაცემა ვერ მოხდება, – განაცხადა ბარათაშვილმა.

როგორც ადვოკატმა განმარტა, დემირელის კოლეჯის ერთ-ერთი ხელმძღვანელი სტატუსის მინიჭების თაობაზე უკვე გამოიკითხა გუშინ, ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენლების მიერ. დღეს კი სამინისტროში მისი ოჯახი, მეუღლე და ორი შვილი გამოიკითხა.

თბილისის დემირელის კოლეჯის ერთ-ერთი მმართველი, მუსტაფა ემრე ჩაბუქი ტეროორისტულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ბრალდებით დააკავეს. აღნიშნული ბრალი მას თურქეთში აქვს წაყენებული და ქართველმა სამართალდამცველებმა ჩაბუქი თურქული პოლიციის მოთხოვნის საფუძველზე დააკავეს. პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე მას თბილისის საქალაქო სასამართლომ სამთვიანი წინასაექსტრადაციო პატიმრობა შეუფარდა.

დაპატიმრებული პოლიციაში აწამეს სახალხო დამცველი მთავარ პროკურორს მიმართავს

სახალხო დამცველი მთავარ პროკურორს ბრალდებულის მიმართ პოლიციელების მხრიდან განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების დაწყების რეკომენდაციით მიმართავს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ომბუდსმენის აპარატიდან აცნობეს, საქმე ეხება ბრალდებულ დ.გ.-ს მიმართ პოლიციელების მხრიდან განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტს.

– თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსებულმა ბრალდებულმა დ.გ.-მ 2017 წლის 5 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრისას განაცხადა, რომ იგი 2017 წლის 5 ივნისს, დაახლოებით დილის 3-დან 4 საათზე დააკავეს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მე-10 განყოფილების თანამშრომლებმა.

დაკავებისას და განყოფილებაში გადაყვანის შემდეგაც, რამდენიმე პოლიციელებმა მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ასევე, ემუქრებოდნენ სექსუალური ძალადობით.

დ.გ.-ს თქმით, იგი დილის 9 საათისთვის დროებითი მოთავსების იზოლატორში შეიყვანეს, თუმცა მრავლობითი დაზიანების გამო არ მიიღეს. დ.გ. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით სამედიცინო კლინიკაში გადაიყვანეს და იზოლატორში მხოლოდ საღამოს, დაახლოებით 20:20 საათზე შეასახლეს.

თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორში შედგენილი დაკავებულის სამედიცინო შემოწმების ფორმაში დაფიქსირებული მონაცემების მიხედვით, ასევე სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრის დროს დ.გ.-ს აღენიშნებოდა დაზიანებები.

საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ბრალდებულის მიმართ განხორციელებულ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიება დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს და აწარმოოს საქართველოს პროკურატურამ; გამოძიების ეფექტიანად წარმართვისთვის ჩატარდეს ყველა საჭირო და აუცილებელი საგამოძიებო მოქმედება, – ნათქვამია ომბუდსმენის განცხადებაში.

გივი თარგამაძე: „პროკურატურას ჩემი მანქანის აფეთქებაში მონაწილე პირების ადგილსამყოფელს დავუსახელებ“

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, გივი თარგამაძე გეგმავს, პროკურატურას მისი მანქანის აფეთქებაში მონაწილე პირების ადგილსამყოფელი დაუსახელოს. ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა ჟურნალისტებს თბილისის პროკურატურაში შესვლამდე თავად განუცხადა.

როგორც თარგამაძემ აღნიშნა, დავით ხეჩუაშვილის გარდა, არიან სხვა ადამიანები, ვინც მის საქმეში ფიგურირებენ.

– ჩემი ინიციატივით მოვედი პროკურატურაში, რადგან ამ თვის ბოლოს გამოძიების ვადა სრულდება. მაინტერესებს, რა ეტაპზეა გამოძიება. რამდენიმე მიმართულებით მაქვს ჩემი გამოძიების შედეგები.

თუ დამხვდა იგივე სიტუაცია, რაც წინა შეხვედრაზე, მივაწვდი ჩემს ხელთ არსებულ

ინფორმაციას და დარჩენილ 2-3 კვირაში თუ ექნებათ სურვილი, გადაამოწმებენ ამ ინფორმაციას. დავით ხეჩუაშვილზე ვერ გეტყვით, სად არის, მაგრამ არიან სხვა მონაწილეები, რომლებიც ვიცი, სად არიან, ამას ვეტყვი გამოძიებას, – განაცხადა გივი თარგამაძემ, თუმცა იმ პირების ვინაობა, ვის ადგილსამყოფელზეც ის პროკურატურას ინფორმაციას მიაწვდის, არ დაუსახელებია.

როგორც „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა აღნიშნა, მისი მანქანის აფეთქების საქმეზე აქამდე რა პროცესებიც განვითარდა, მას აძლევს საფუძველს თქვას, რომ გამოძიება, ფაქტობრივად, არ მიმდინარეობს.

ახალი დეტალები და-ძმა ნაზღაიძეების მილიონიან ქონებაზე

ნატა ნაზღაიძის საქმეში კიდევ ერთი პირი ჩნდება, პირი, რომელსაც საკრებულოს დეპუტატის მარინა დათუკიშვილის განცხადებით, ზურაბ ჩოხელმა ქონება გადაუფორმა. პაატა ბეთხოშვილი, რომლის სახელზეც გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, ჩოხელის ახლობელია. მარინა დათუკიშვილის თქმით, ნაზღაიძის საქმეში ყველა ჯერზე ახალი სისხლის სამართლის დანაშაული ჩნდება.

– ჩვენი ინფორმაციით, ჩოხელმა მისი ცოლის მეგობრის სახელზე გადააფორმა ფიქტიუ-

რად ეს მიწის ნაკვეთი იმაზე დაბალ ფასად, ვიდრე იყო ღირებული, იმისათვის, რომ ქონების ღირებულება არ გადაეხადა. ფიქტიურ საფუძველზე ბეთხოშვილი გახდა ფიქტიური მფლობელი, – ამბობს დათუკიშვილი.

დათუკიშვილის თქმით, მათ დღეს კიდევ ერთხელ მიმართეს პროკურატურას, რადგან ამ დრომდე ისიც კი არაა ცნობილი, ამ მიმართულებით მიმდინარეობს თუ არა გამოძიება.

– ვთვლით, რომ საგამოძიებო ორგანოსა და პროკურატურის უმოქმედობა უშუალოდ ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტისთვის ზარალის მიყენებას, – ამბობს დათუკიშვილი.

ცხინვალში დაკავებული საქართველოს ოთხი მოქალაქე გაათავისუფლეს

ცხინვალში დაკავებული საქართველოს ოთხი მოქალაქე გაათავისუფლეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში განუცხადეს.

დუშეთის რაიონში, სოფელ გრემისხევში, ბურღულთან ახლოს, საქართველოს ოთხი მოქალაქე იყო დაკავებული. ნუკრი თვაურს, აკაკი პაპუკაშვილს, ზაურ გიგაურს და ზურაბ გედევანიშვილს დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის „ხელისუფლება“ ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთას ედავებოდა. ბოლო ერთი თვის განმავლობაში ე.წ. მესაზღვრეებმა საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს 17 მოქალაქე დააკავეს.

ისლამურმა სახელმწიფომ ირანის პარლამენტში სროლა აწეხა

დაღუპულია 12 ადამიანი

გუშინ, 7 ივნისს, დილის 9 საათზე 4 შეიარაღებული პირი ირანის პარლამენტში შეიჭრა და ცეცხლი გახსნა. მოგვიანებით ერთ-ერთმა თავდამსხმელმა პარლამენტის შენობაში თავი აიფეთქა.

პარლამენტზე თავდასხმის შედეგად 12 ადამიანი დაიღუპა.

პარლამენტზე თავდასხმის პარალელურად, სამხრეთ თეირანში, იმამ ხომეინის მავზოლეუმზე მოხდა თავდასხმა. ერთ-ერთმა თავდამსხმელმა თავი აიფეთქა. გავრცელებული ინფორმაციით, თვითმკვლელი ტერორისტი ქალი იყო.

ოთხივე ტერორისტი, რომელიც ირანის პარლამენტს თავს დაესხა, ლიკვიდირებულია.

თეირანში მომხდარ ტერაქტებზე პასუხისმგებლობა ტერორისტულმა დაჯგუფება ისლამურმა

სახელმწიფომ აიღო. ტერორისტული ორგანიზაციის განცხადებით, ირანის პარლამენტზე და იმამ ხომეინის მავზოლეუმზე თავდასხმა ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებმა განახორციელეს.

ორივე ადგილას ტერაქტის შედეგად 39 ადამიანი დაშავდა.

მიანმარის სამხედრო თვითმფრინავი ზღვაში ჩავარდა

გუშინ, 7 ივნისს, მიანმარის სამხედრო თვითმფრინავი რადარებიდან გაქრა.

მის ბორტზე 116 ადამიანი იმყოფებოდა.

მოგვიანებით თვითმფრინავის ფრაგმენტები ზღვაში იპოვეს.

თვითმფრინავი მიანმარის სამხრეთ ნაწილიდან იანგონში მიფრინავდა. მიანმარის ხელისუფლებამ სამაშველო ოპერაცია დაიწყო.

ტრამპი გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორად კრისტოფერ რეის წარადგენს

აშშ-ის პრეზიდენტი, დონალდ ტრამპი გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორის პოსტზე კრისტოფერ რეის წარადგენს.

აღნიშნულის შესახებ დონალდ ტრამპმა „ტვიტერის“ პირად გვერდზე დაწერა.

კრისტოფერ რეი ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის დროს აშშ-ის გენერალური პროკურორის თანაშემწედ დაინიშნა, სადაც კრიმინალურ დეპარტამენტს კურირებდა. ის ამ პოსტზე 2005 წლამდე მუშაობდა.

10 მაისს დონალდ ტრამპმა გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორი ჯეიმს კომი თანამდებობიდან გაათავისუფლა.

ტილერსონი: „ტრამპმა რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება დამავალა“



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა შეშფოთება გამოთქვა რუსეთთან უაღრესად დაძაბული ურთიერთობების გამო. ამის თაობაზე ჟურნალისტებს სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა განუცხადა.

– ტრამპმა მითხრა, რომ რუსეთთან ურთიერთობები ასეთი დაძაბული ჯერ არასოდეს არ ყოფილა, – თქვა ტილერსონმა.

სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ პრეზიდენტი შეშფოთებულია იმ აჟიოტაჟის გამო, რომელიც მისი ადმინისტრაციის გარშემო აზვირთდა. საუბარია ტრამპის შტაბის კონტაქტებზე რუსეთთან.

აშშ-ის სპეცსამსახურების ყოფილი ხელმძღვანელები ერთხმად აცხადებენ, რომ რუსეთი აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩაერია. კონგრესში უკვე გაისმა ტრამპისთვის საშიში სიტყვა იმპიჩმენტი. ამას უკვე რამდენიმე შტატი და დიდი ქალაქები უჭერენ მხარს. ტრამპმაც თავის მომხრეებს ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდა. პორტლენდში ტრამპის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მანიფესტაციები უკვე შედგა. პრეზიდენტის რიგმა ნაბიჯმა (პარიზის შეთანხმებიდან გამოსვლა, ემიგრაციის შეზღუდვა) ევროპის უკმაყოფილება გამოიწვია. კანცლერმა მერკელმა ეს უკვე ღიად დააფიქსირა.

ასეთ სიტუაციაში რუსეთთან ურთიერთობების აღდგენა ფრიად პრობლემატურია. ტილერსონმაც აღნიშნა, რომ საუბარია კრემლთან დიალოგზე და თუნდაც გარკვეული ნდობის შენარჩუნებაზე. ჟურნალისტის შეკითხვაზე, არსებულ სიტუაციაში პრეზიდენტის იმპიჩმენტი რამდენად რეალურიაო, ტილერსონმა მიუგო:

– ეგ საკითხი არ მაინტერესებს! მე ჩემი ფუნქციები მაქვს და პოლიტიკურ ინტრიგებში არ ვერევი!

სროლა პარიზის ღვთისმშობლის ტაძართან

პარიზის ღვთისმშობლის ტაძართან ნაჯახით შეიარაღებული ახალგაზრდა პოლიციელს თავს დაესხა. კანონის დამცველი მძიმედაა დაშავებული. ახალგაზრდა გაჰყვიროდა: „ეს თქვენ სირიისათვის!“ იქვე მყოფმა პოლიციელებმა ტერორისტს ცეცხლი გაუხსნეს.

თავდამსხმელი დაიჭრა. პოლიციამ ტაძარსა და მთელს რაიონს ალყა შემოარტყა. ტაძარში მყოფი 900-მდე ტურისტი ბლოკირებული აღმოჩნდა. პოლიციელებმა აიძულეს ისინი, ხელები აეწიათ, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ იარაღი არ ჰქონდათ. არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ ტაძარში მყოფთა შორის ტერორისტის თანამზრახველებიც იყვნენ. გარკვეული ხნის შემდეგ ტაძარში ბლოკირებული ხალხი გაუშვეს.

დაჭრილი ტერორისტი საავადმყოფოში მოათავსეს. ის ალჟირელია. საფრანგეთში სტუდენტური ვიზით ჩამოვიდა. ფრანგული მედია ირწმუნება, რომ ტერორისტი ისლამურ სახელმწიფოსთანაა დაკავშირებული.

სირია: დაიწყო რაქას გათავისუფლების ოპერაცია

სირიის დემოკრატიულმა ძალებმა, სადაც შედიან ასადის მოწინააღმდეგე ზომიერი პარტიზანები და ქურთული ფორმირებები, რაქას გათავისუფლების ოპერაცია დაიწყეს.

ეს ქალაქი ისლამურმა სახელმწიფომ თავის დედაქალაქად გამოაცხადა.

რაქაზე იერიშში 30.000 მებრძოლი მონაწილეობს. მათ შეტევას ამერიკული ავიაციაც ზურგს უმაგრებს. ამან ასადის მომხრეთა უკმაყოფილება გამოიწვია. დიქტატორის მომხრე შეიარაღებული ძალები შეიჭრნენ ქალაქ ტანფში, რომელიც დემილიტარიზებულ ზონაში მდებარეობს. პასუხად ამერიკელებმა სირიელებზე საჰაერო დარტყმა განახორციელეს. ასადის მომხრე ჯარისკაცებს შორის არის მსხვერპლი.

– ე.წ. საერთაშორისო კოალიციამ ჩვენ წინააღმდეგ აგრესია განახორციელა, აშშ-ის ავიაციისა და საერთაშორისო კოალიციის სირიაში ყოფნა არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს, – განაცხადა ასადმა.

სირიის დიქტატორი იმუქრება, რომ აგრესორებს (ასე მოიხსენიებს ის აშშ-სა და მის მოკავშირეებს) ქვეყნიდან გააძევებს.

ტრამპმა კატარის ბოიკოტს მხარი დაუჭირა

თურქეთი კატართან ურთიერთობას გააგრძელებს

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ კატარი ტერორიზმის სპონსორია, ამიტომ მისი იზოლაცია აუცილებელია.

– ახლო აღმოსავლეთში ჩემმა ტურნემ კატარის იზოლაცია შესაძლებელი გახადა, – განაცხადა ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ კატარის იზოლაციით ტერორიზმის განადგურება დაიწყო.

თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ერდოღანმა კი განაცხადა, რომ მისი ქვეყანა კატარის წინააღმდეგ აზვირთებულ კამპანიაში არ ჩაერევა.

– თურქეთი კატართან ურთიერთობებს გააგრძელებს, – თქვა ერდოღანმა.

თურქეთის პრეზიდენტის აზრით, სანქციები და დიპლომატიური იზოლაცია პრობლემას ვერ გადაწყვეტს. ამის მიღწევა მხოლოდ დიალოგის მეშვეობით არის შესაძლებელი.

– თურქეთი ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რათა ეს დიალოგი წარმატებით დასრულდეს, – ამბობს ერდოღანი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

კანადელმა ქარბორბალა არაფრად ჩააგდო და გაზონის კრეჭა განაგრძო

კანადის ალბერტის პროვინციის ქალაქ ტრი ჰილზის მცხოვრების ფოტოსურათმა, რომელიც სახლის წინ გაზონს, უზარმაზარი ქარბორბალას ფონზე კრეჭს, ინტერნეტში დიდი პოპულარობა მოიხვეჭა.

გაზონის მთიბველის მეუღლემ განაცხადა, რომ ის ცხრა წლის ქალიშვილმა გააღვიძა. ბავშვი იმით იყო შეშფოთებული, რომ მამას არ უნდოდა ეზოს დატოვება, მიუხედავად მოახლოებული სტიქიური უბედურებისა. ქალი გარეთ გავიდა და გაარკვია, რომ მეუღლემ ქარბორბალა შენიშნა, თუმცა შეშფოთების მიზეზი ამაში ვერ დაინახა.

– ყველაფერი რიგზეა, – მშვიდად უპასუხა ქმარმა და გაზონის თიბვა განაგრძო.

მისი თქმით, ქარბორბალა იმაზე შორს იყო, ვიდრე ჩანდა. მართლაც, მან სახლიდან ორი კილომეტრის დაშორებით ჩაიარა და ხუთი წუთის შემდეგ გაქრა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნასას ასტრონავტმა კოსმოსში პუდინგისგან კოშკი ააგო

ამერიკელმა ასტრონავტმა ჯეკ ფიშერმა, რომელიც საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე იმყოფება, უწონადობის პირობებში პუდინგისგან კოშკი ააგო, შემდეგ კი შეჭამა. ლინდონ ჯონსონის სახელობის ნასას კოსმოსურმა ცენტრმა ამ მოვლენის ამსახველი ვიდეოჩანაწერი იუთუბიზე გამოაქვეყნა.

ასტრონავტმა მაგიდაზე მიამაგრა დიდი კოვზი და მასზე პლასტიკური პაკეტიდან პუდინგი გადმოაქცია. დესერტისგან წარმოქმნილი ნაგებობა არამდგრადი იყო და ირხეოდა, თუმცა არც დაშლილა. ფიშერმა ნაგებობას ზევიდან დიდი ნაჭერი მოაკბიჩა, რის შემდეგაც პუდინგის კოშკის მესამედი მოტყდა, დატრიალდა და სადგურში ფრენა დაიწყო, თუმცა ასტრონავტმა ის მალე დაიჭირა და გადასანსლა. ამის შემდეგ, ის დამაგრებულ კოვზთან მიფრინდა და მასზე დარჩენილი პუდინგიც შეჭამა.

ჯეკ ფიშერი საერთაშორისო კოსმოსურ სადგურში მიმდინარე წლის 20 აპრილიდან იმყოფება. ამ ხნის მანძილზე ის ორჯერ იყო გასული ღია კოსმოსში. მასთან ერთად ორბიტაზე მუშაობენ ამერიკელი ასტრონავტი პეგი უიტსონი, ფრანგი ტომას პესკე და რუსები ოლეგ ნოვიცკი და ფიოდორ იურჩიხინი.

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას; სასქესო ორგანოების, პროსტატის ყველა ფორმის დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას – მამაკაცებში. მკურნალობაში ვიყენებთ აპარატსა და სქესობრივი კონტაქტის დასამყარებელ „ერექტორებს“. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით.აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი..

● ალკოჰოლიზმი, „ჯახზელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეუერიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

თორნიკე კაპანაძე ჩემპიონობაზე ფიქრობს

საქართველოს ეროვნულ ლიგაში შესვენებაა. ეს სანაკრებო პაუზით არის გამოწვეული. თუმცა, პარალელურ რეჟიმში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატსაც შევეხებით...

მე-2 წრეში საუცხოოდ გამოიყურება ქუთაისის ტორპედო, რომელმაც 7 მატჩიდან პირველი ფრედ ითამაშა და შემდეგ ზედიზედ 6 მოიგო. ბურთების შეფარდება 13:1 – მართლაც შთამბეჭდავი მაჩვენებელია.

13 გოლიდან 5 თორნიკე კაპანაძის ანგარიშზეა, აქედან ორჯერ ისეთი სილამაზის გოლი გაიტანა, ნებისმიერ თავდამსხმელს შეშურდებოდა. ერთიც ლოკომოტივთან უსამართლოდ არ ჩაუთვალეს.

„ელვას“ რამდენიმე დღის წინ 25 წელი შეუსრულდა.

– ბევრი ლამაზი გოლი მიგითვლია, მაგრამ ბოლოდროინდელი 2 „მაკრატელათი“ გატანილი, განსაკუთრებულად ეფექტური იყო. ადრე თუ გაგიტანია მსგავსი?

– ბავშვობაში გამიტანია, მაგრამ დიდ გუნდებში არა. ჯერ ფოთის კოლხეთთან პირველი იყო. ვცადე და შევაგდე, მერე გორის დილასთანაც გამომივიდა. რომ გითხრათ, ასეთი დარტყმები წინასწარ მქონდა ჩაფიქრებული-თქო, მართალი არ ვიქნები. უბრალოდ, ორივე შემთხვევაში ბურთი ისე წამოვიდა ჩემკენ, სხვაგვარად ვერ შევძლებდი კარში დარტყმას.

– 5 გატანილიდან 3 გრიგოლ დოლიძის პასებით ჩაიწერე აქტივში.

– მე და „დოლას“ სხვა გუნდებშიც გვითამაშია ერთად, ამიტომ კარგად ვუგებთ ერთმანეთს. დოლიძე საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო მეპასეა. ხურცილავას და გიგაურის კარგი პასებითაც გავიტანე. თავდამსხმელი ვარ და ყოველთვის ჩასაფრებული უნდა ვიყო მეტოქის საჯარიმოში. ურთიერთგაგებას მოედანზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ გუნდში ახლა ასეა და ამიტომაც ვაღწევთ გამარჯვებებს.

– ისე გამოდის, თითქოს ამ ბოლო დროს შენ და „დოლა“ ერთმანეთს ლამაზი გოლების გატანაში ეჯიბრებით.

– არ ვეჯიბრებით, უბრალოდ, ასე ხდება. „დოლა“ მეორე ახალგაზრდობას განიცდის. ძალიან ბევრს შრომობს. კუთხურიდან ახვევს, აგერ ჩიხურასთან ერთმანეთზე უკეთესი გოლები გაიტანა.

– ლოკომოტივთან მატჩში გოლი არ ჩაგითვალეს. არ დაგწყდა გული?

– როგორ არ დამწყდა, მაგრამ რა უნდა მექნა? პრინციპულ თამაშში ამ ფაქტს შეიძლებოდა უარყოფითად ემოქმედა ჩემზეც და გუნდზეც, მაგრამ შესვენებაზე, გასახდელში კახა ჩხეტიანმა დაგვამშვიდა, გვითხრა, სხვა არაფრისთვის ყურადღება არ მიგვექცია, გვეთამაშა და მხოლოდ გამარჯვებაზე გვეფიქრა. მოვიგეთ კიდეც ის თამაში.

– ტანმორჩილი ხარ, თუმცა თავით კარგად თამაშობ და ხშირად გაგაქვს გოლები. მაღალი ნახტომი ვარჯიშით ჩამოგიყალიბდა?

– ვარჯიშითაც და გენშიც მაქვს. მამაჩემი მოცეკვავე იყო და ბევრი ტრიუკის კეთება უწევდა. მისი ნიჭი გამომყვა.

– უმაღლეს და ეროვნულ ლიგაში 34 ბურთი გაქვს გატანილი, აქედან 24 ტორპედოში. ცხადია, შეჩერებას არ აპირებ.

– არ ვაპირებ, მაგრამ მე გავიტან თუ სხვა, მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, ჩემმა გუნდმა გაიტანოს და მოიგოს.

– ტორპედოში თავდასხმის ხაზში კონკურენცია გაჩნდა.

– ეს ძალიან კარგია. გუნდში ნებისმიერ პოზიციაზე უნდა იყოს დიდი კონკურენცია. ეს აუცილებელია. კონკურენცია გაფხიზლებს, მეტ სტიმულს გაძლევს.

– შემტევი ხარ, თუმცა უკან ჩასვლაც ხშირად გიწევს. რატომ?

– მწვრთნელის დავალებაა. მერე რა, რომ თავდამსხმელი ვარ. ნებისმიერ სიტუაციაში ყოველი ჩვენთაგანი იქ უნდა იყოს, სადაც ამას საჭიროება მოითხოვს. კარში რომ გოლს მიიღებ, ყველას დანაშაულია.

– ყველა „ელვას“ მეტსახელით გიცნობს.

– ეს მეტსახელი ბავშვობაში, სისწრაფის გამო, ჩემმა პირველმა მწვრთნელმა გელა ბუნტურმა შემარქვა.

– „ტორპედო“ ახლა მყარადაა მე-2 ადგილზე და თბილისის დინამოს 3 ქულით ჩამორჩება. არადა, დინამოსთან საშინაო მატჩი წააგეთ.

– ამ ჩემპიონატში ეს ერთადერთი მატჩი იყო, რომელიც მთელმა გუნდმა ჩააგდო. საკუთარი შესაძლებლობების ნახევარიც კი ვერ ვაჩვენეთ, მაგრამ არაფერია, ჩვენ კიდევ სამჯერ უნდა შევხვდეთ ერთმანეთს.

– შენი აზრით, რა შედეგი იქნება წელს ტორპედოსთვის დამაკმაყოფილებელი?

– საქართველოს თასის მფლობელები ვართ და ტიტული უნდა დავიცვათ. რაღა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუ ჩემპიონობას შევძლებთ. ამისთვის ძალ-ღონეს ნამდვილად არ დავიშურებთ, მაგრამ მეორე ადგილიც არ იქნება ურიგო.

– უეფას საკლუბო ტურნირები ახლოვდება. 19 ივნისს ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ტორპედოს მეტოქე გახდება ცნობილი. შენ ამ ტურნირზე თამაშის გამოცდილება გაქვს, სლოვაკურ ჟილინასთან სტუმრად „დუბლიც“ კი შეასრულე.

– არ ვიცი, ვინ გვერგება მოწინააღმდეგედ, მაგრამ, როგორც იტყვიან ხოლმე, აქ სუსტი მეტოქე არ არსებობს. ჩვენი ბოლოდროინდელი თამაში იმედს მაძლევს და ვნახოთ. ის კი ვიცი, თავს არავისთან დავზოგავთ.

– ტორპედოს გულშემატკივრებზე რას იტყვით?

– ისინი საქართველოში საუკეთესონი არიან. ყოველთვის გვერდში გვიდგანან. გასვლით მატჩებშიც ისეთ გარემოს გვიქმნიან, თითქოს შინ ვთამაშობდეთ. მათი მხარდაჭერა ჩვენთვის უდიდესი სტიმულია...

ლივერპული ხამეს როდრიგესისთვის ბრძოლაში ჩაება

მადრიდის რეალის 25 წლის შემტევი ნახევარმცველი ხამეს როდრიგესი ბოლო პერიოდში სათამაშო დროის უქონლობას უჩივის. ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩისას ზიდანმა ის განაცხადშიც კი არ შეიყვანა, რამაც ფეხბურთელს სამუშაო ადგილის გამოცვლაზე ფიქრისკენ უბიძგა.

ფეხბურთელით იუნაიტედი, პსჟ, ბაიერნი, მილანი და ლივერპული არიან დაინტერესებულნი. თავად ხამესს „ოლდ ტრაფორდზე“ სურს თამაში. თუმცა აქ მთავარი დამაბრკოლებელი საკითხი სატრანსფერო თანხაა – ფლორენტინო პერესი ფეხს არ უცვლის თავდაპირველ 52 მილიონ გირვანქა სტერლინგს.

ლივერპული კი მყარად არის დაინტერესებული ფეხბურთელის შეძენით და ინგლისურ მედიაში არ გამორიცხავენ, რომ სატრანსფერო ფასის თამასა გაზარდოს.

ბარსელონას დუგლას კოშტა სურს

ესპანური გრანდი ბარსელონა მიუნხენური კლუბის შემტევი ნახევარმცველის, დუგლას კოშტას ტრანსფერის განხორციელებით არის დაინტერესებული. ამის შესახებ ესპანური მედია იტყობინება.

ბრაზილიელი ვინგერის ხელში ჩასაგდებად არაერთი ევროპული გრანდი აცხადებს პრეტენზიას. მათ შორის, მანჩესტერ იუნაიტედი და ტურინის იუვენტუსი.

რაც შეეხება უშუალოდ კატალონიური გიგანტის დაინტერესებას, ბარსელონას ახლად დანიშნულმა მთავარმა მწვრთნელმა, ერნესტო ვალვერდემ, კლუბის ხელმძღვანელობას მარჯვენა ფლანგის გაძლიერება მოსთხოვა.

2016-17 წლის საფეხბურთო სეზონში, ბრაზილიელ ვინგერსა და ბაიერნს შორის არსებული ურთიერთობა საგრძნობლად გაცივდა. კოშტამ გერმანიის ჩემპიონატის ეგიდით გამართულ 23 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, საიდანაც ძირითად თერთმეტეულში მხოლოდ 13-ჯერ იყო წარმოდგენილი. აღნიშნულ ტურნირზე 26 წლის ფეხბურთელის მონაგარი კი მხოლოდ 4 გატანილ გოლს და 6 საგოლე პასს ითვლის.

სამხრეთამერიკელი შემტევის მიმდინარე სატრანსფერო ღირებულება 30 მილიონ ევროს შეადგენს.

შედეგები

6 ივნისი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

სინგაპური-მიანმა	1:1
ინდოეთი-ნეპალი	2:0
უზბეკეთი-ტაილანდი	2:0
ავღანეთი-მალდივი	2:1
უკრაინა-მალტა	0:1
ისრაელი-მოლდოვა	1:1
დანია-გერმანია	1:1
ბახრეინი-პალესტინა	0:2
კატარი-ჩრ.კორეა	2:2

ჩოგბურთი

ხოღან გახოსი

ქაღები

მლადენოვიჩი-ბაჩინსკი	4:6, 4:6
ოსტაპენკო-ვოზნიაცკი	4:6, 6:2,6:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ხინჩეგაშვილი ახალ წონაშიც ლიდერია

ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანების მიერ გამოქვეყნებულ ახალ მსოფლიო რეიტინგს, ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ლადო ხინჩეგაშვილი ლიდერობს. ჩვენებური ამჯერად ერთი წონით ზედა (61 კგ) კატეგორიას ჩაუდგა სათავეში. სულ კი, მსოფლიო რეიტინგში 8 ქართველი ფალავანი მოხვდა.

შეგახსენებთ, რომ ხინჩეგაშვილი 57 კგ-ში მსოფლიო რეიტინგში ლიდერობას 2015 წლიდან მოყოლებული აქამდე უცვლელად ინარჩუნებდა. თუმცა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა საბოლოოდ გადაწყვიტა, წონა აღარ დაიკლოს და 61 კგ-ში განაგრძოს ასპარეზობა.

სერბეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ხინჩეგაშვილმა ახალ წონით კატეგორიაში წარმატებით დაიცვა წინა წელს მოპოვებული ევროპის ჩემპიონის ტიტული და მსოფლიო რეიტინგში ახალ წონაშიც გალიდერდა.

გეტყვით იმასაც, რომ ამავე წონაში კიდევ 2 ქართველი შევიდა რეიტინგში, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ბექა ლომთაძე მე-8, ხოლო პარიზის გრან-პრის გამარჯვებული შოთა ფარტენაძე მე-20 ადგილს იკავებენ.

რაც შეეხება სხვა ქართველებს: ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი მძიმეწონოსანი გენო პეტრიაშვილი (125) მე-2 ადგილზე იმყოფება. მე-4 ადგილზეა ევროპის ბრინჯაოს მედლის მფლობელი ელიზბარ ოდიკაძე (97), მე-11 პოზიცია უკავია ევროპის 2-გზის ჩემპიონსა და პრიზიორ დავით მარსაგიშვილს (86), ხოლო ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი ზურაბ იაკობიშვილი (65) და ევროპის ჩემპიონი 23-წლამდელთა შორის ავთანდილ კენჭაძე (74) მე-13 ადგილებზე არიან.

უკრაინა ევროპის ჩემპიონატს დანაკლისით ხვდება

საქართველოს საკალათბურთო ნაკრები 2017 წელს ევროპის ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებს ევრობასკეტ-2017-ის ბ ჯგუფში მასპინძელი ისრაელი, ლიტვა, იტალია, გერმანია და უკრაინა ეყოლება.

უკრაინელებს უკვე აქვთ დანაკლისი: მიზეზი ნაკრების წამყვანი უკანახაზელის სერგეი გლადირის ტრავმაა. 28 წლის მცველი, რომელსაც ფრანგულ მონაკოში შედეგიანი სეზონი ჰქონდა, მუხლის ოპერაციას იკეთებს და ევრობასკეტამდე პერიოდში მომჯობინებას ვერ მოასწრებს.

ეს შესაძლოა, მე-2 დანაკლისის წინაპირობაც გახდეს. საქმე ისაა, რომ უკრაინელები ნატურალიზებული მოთამაშის რანგში მხოლოდ პუჰ ჯეტერს განიხილავენ, მან კი სოციალურ ქსელში ასეთი განცხადება გააკეთა:

– უკრაინის ნაკრების რამდენიმე წარმომადგენელს ვესაუბრე და ვიცი, რომ ფედერაციაში ჩემს გადაწყვეტილებას ელიან. საბოლოო განცხადებას უახლოეს პერიოდში გავაკეთებ, თუმცა, აქედანვე შემიძლია აღვნიშნო, რომ ნაკრებში იმ შემთხვევაში დავბრუნდები, თუკი იქ სერგეი გლადირი დამხვდება.

ჯეტერმა უკრაინელთა მაისურით უკვე ითამაშა 2013 წლის ევროპის ჩემპიონატსა და 2014 წლის მსოფლიო პირველობაზე.

საქართველოსა და უკრაინის მატჩი თელ ავივში 3 სექტემბერს გაიმართება.

ბეკერმა ბაიერნი კროოსის გამო გააკრიტიკა

წარსულში ცნობილი გერმანელი ჩოგბურთელი ბორის ბეკერი, რომელიც ამავე დროს მიუნხენის ბაიერნის გამორჩეული გულშემატკივარია, გერმანულ მედისთან ინტერვიუში მიუნხენური კლუბის ყოფილი ნახევარმცველის, ტონი კროოსის შესახებ საუბრობს.

49 წლის ვეტერანი ჩოგბურთელის განცხადებით, ბავარიელებმა ძალიან დიდი შეცდომა დაუშვეს, როდესაც გერმანელი ნახევარმცველი ტრანსფერზე დააყენეს.

ბორის ბეკერი:

– ჩემი აზრით, მიუნხენის ბაიერნის ხელმძღვანელობა იმ პერიოდში ბოლომდე ვერ აცნობიერებდა, თუ რამდენად დიდი ძალა იყო ტონი კროოსი. დღევანდელ გუნდში კროოსი საკვანძო როლის მატარებელი იქნებოდა. ყოველთვის არ არის აუცილებელი, საზღვარგარეთ ეძებო ფეხბურთელი. გერმანიაშიც საკმაოდ მრავლად იქნებიან შესაფერისი მოთამაშეები, თუკი მათ ტრანსფერზე ნაადრევად არ დააყენებენ.

შეგახსენებთ, კროოსი მადრიდის რეალის შემადგენლობაში 2014 წლის 17 ივლისს ჩაირიცხა. 27 წლის ფეხბურთელის მიმდინარე სატრანსფერო ღირებულება 60 მილიონ ევროს შეადგენს. 2014-17 წლების განმავლობაში, გერმანელმა ნახევარმცველმა, „სამეფო კლუბის“ მაისურით ორჯერ აღმართა უეფას ჩემპიონთა ლიგის თასი. აღნიშნული ფეხბურთელი, მადრიდის რეალთან ერთად, ასევე არის ესპანეთის ჩემპიონატის გამარჯვებული, უეფას სუპერ თასის მფლობელი და ფიფას საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატის ორგზის ჩემპიონი.

რა როლი ენიჭება ფიზიოთერაპიას რეპროდუქტოლოგიაში

ეკა ირემაშვილი

ქალის რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენაში ფიზიოთერაპიას გარკვეული ადგილი უჭირავს.

რა არის ფიზიოთერაპია და რა როლი ენიჭება ფიზიოთერაპიას რეპროდუქტოლოგიაში, ამის შესახებ ექიმი-რეპროდუქტოლოგი, გინეკოლოგი, ფიზიოთერაპევტი, რადიოლოგი, მედიცინის აკადემიური დოქტორი ნინო დათოშვილი საუბრობს.

ნინო დათოშვილი:

– ქალის რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენაში ფიზიოთერაპიას გარკვეული ადგილი უჭირავს. ფიზიოთერაპიას სხვადასხვა მიმართულება აქვს. მათ შორის წამყვანი მეთოდია ელექტროფორეზი – გალვანიზაცია. მუდმივი დენის მეშვეობით უშუალოდ პათოლოგიურ კერაში შედის სხვადასხვა მედიკამენტი. საფუძვლად უდევს სისხლძარღვთა გაფართოება.

– როდის არის საჭირო ელექტროფორეზი?

– ჩვენებებია: საშვილოსნოს და დანამატების ანთება თანმხლები ტკივილის სინდრომით – ნოვოკაინის ელექრტოფორეზი.

საშვილოსნოს და დანამატების ანთება თანმხლები ჭარბი ჩირქოვანი გამონადენით – თუთიის ელექტროფორეზი.

საშვილოსნოს და დანამატების ანთება თანმხლები სისხლდენით – კალციუმის 10% ხსნარით ელექტროფორეზი.

ქრონიკული სალპინგოოფორიტი – ლიდაზის და თუთიის ელექტროფორეზი.

ენდომეტრიოზი და საშვილოსნოს ფიბრომატოზი – კალიუმის იოდატით და დიმექსიდით ელექტროფორეზი. დიმექსიდს გააჩნია მაღალი გამტარიანობის ეფექტი და აგრეთვე კანისა და ლორწოვანის დაზიანების ადგილას სამკურნალო ნივთიერების სწრაფი გადატანის უნარი.

საკვერცხის ჰიპოფუნქცია და ყვითელი სხეულის ნაკლოვანება – ცინკით და სპილენძით ელექტროფორეზი.

გენიტალური ტუბერკულოზი – ნატრიუმის თიოსულფატის 5% ხსნარით ელექტროფორეზი.

საკვერცხეების პოლიცისტოზი – იოდით ელექტროფორეზი.

პროცედურის ხანგრძლივობაა 25 წუთი. კურსი კი 12-15 სეანსისაგან შედგება.

– რას ნიშნავს ელექტროსტიმულაცია?

– ელექტროსტიმულაცია რეფლექტორული ზემოქმედებაა სამიზნე ორგანოზე. არსებობს რამოდენიმე მოდიფიკაცია:

დავიდოვის მოდიფიკაცია – საშვილოსნოს ყელის ელექტროსტიმულაცია გამოიყენება საშვილოსნოდან სისხლდენის შესაჩერებლად. ერთი ანოდი თავსდება გავა-კუდუსუნის არეში, მეორე წყვილი კი საშოს უკანა თაღზე.

სტრუგაკის მოდიფიკაცია – საშვილოსნოს მილების ელექტროსტიმულაცია გამოიყენება ტუბო-პერიტონეალური უნაყოფობის დროს კომპლექსში მილების სარეაბილიტაციო თერაპიასთან ერთად.

კუნთების გამაგრების და ცხიმის დაშლის რეჟიმი. პროცედურის ხანგრძლივობაა 15 წუთია, კურსი კი 12-15 სეანსია.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

თენგიზ ჩანტლაძეს 84 წელი შეუსრულდებოდა

ქართულ თეატრალურ სამყაროში ერთ-ერთ გამორჩეულ მსახიობს თენგიზ ჩანტლაძეს 84 წელი შეუსრულდებოდა.

მინიატურების თეატრის დამაარსებელმა თავისი შემოქმედებით წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ კულტურაში. იგი 55 წლის ასაკში გარდაიცვალა, თუმცა მას დღემდე დიდი სითბოთი და სიყვარულით იხსენებენ. მის მიერ შესრულებული როლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: ლუარსაბ თათქარიძე, მილიციის უფროსი გვარამია, ვანო ხიმშიაშვილი...

თენგიზ ჩანტლაძე საქართველოს დამსახურებული და სახალხო არტისტი იყო, მოღვაწეობდა მარჯანიშვილის თეატრში, ხელმძღვანელობდა ფილარმონიასთან არსებულ მინიატურების ანსამბლს, მოგვიანებით კი მინიატურების თეატრს. ფილარმონიასთან დაარსებულ მინიატურების თეატრში მსახიობი სამხატვრო ხელმძღვანელიც, დირექტორიც და წამყვანი მსახიობიც თავად იყო. სწორედ მისი ინიციატივით გამოეყო დასი სახელმწიფო ფილარმონიას და დამოუკიდებელ სახელმწიფო თეატრად გარდაიქმნა.

თენგიზ ჩანტლაძე თეატრში გულის შეტევით გარდაიცვალა. მისი მეუღლე ზაირა ჩანტლაძე ამის მიზეზად თეატრს ასახელებს:

– მინიატურების თეატრს შეეწირა თენგიზი, გარკვეული დროის განმავლობაში არსებობდა ეს თეატრი, მაგრამ... ჩვენ შენობას შევეწირეთ და პირველ რიგში, თენგიზი. არ ვიცი, რატომ მოხდა ასე. აფექტის ადამიანი იყო თენგიზი, საშინელი ემოციური, სხვებიც იყვნენ, მაგრამ რატომ აღმოჩნდა ასეთი საბედისწერო ეს შემთხვევა, არ ვიცი. თანაც შენობაში იყო თენგიზი, როცა ანგრევდნენ, თან თავისი ინიციატივაც არ იყო, როცა იქ იყო. არ მინდა დეტალებზე საუბარი. საშინელებაა ტყუილი, ხომ ასეთი აფექტის კაცი იყო, მაგრამ მეორე წუთში ბეკეკასავით, ბავშვივით ხდებოდა. ალბათ ცოტა იოლად უნდა შეეხედა ამ ყველაფრისთვის, შეიძლება დრო გავიდოდა და გამოჩნდებოდა რაღაც შენობა.

სხვათა შორის, იმ დღეს ვაპირებდით თბილისიდან გასვლას, ქობულეთში უნდა წავსულიყავით, მაგრამ დილიდანვე უხასიათოდ იყო, საღამოს 5 საათზე კი გული გაუსკდა და გარდაიცვალა. ჩვენი თეატრი სულ ბოლოს მედიცინის მუშაკთა სახლში იყო. თენგიზის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, ამ თეატრს მისი სახელი მიენიჭა, თანაც სახელმწიფო თეატრი იყო. რატომღაც მინიატურების თეატრად მოიხსენიებენ, არადა, როცა სახელმწიფო თეატრი გავხდით, მას ეწოდა თენგიზ ჩანტლაძის სახელობის სატირისა და იუმორის სახელმწიფო თეატრი.

ერთი ხელის მოსმით ასეთი სახელობითი თეატრის განადგურება არ შეიძლებოდა. თეატრი მუნიციპალური გახდა და მერიამ აღარ დაგვაფინანსა. იჯარას ვეღარ ვიხდიდით და რანაირად? ნებისმიერ თეატრს მსოფლიოში, რაც არ უნდა ძლიერი შემადგენლობა ჰყავდეს, ვარსკვლავი ხომ ჰყავს? ხომ არის ერთი, ვისთვისაც და რისთვისაც დადის მაყურებელი. ეს არ თქვას არავინ, შეიძლება ბევრი ძლიერი მსახიობი გყავდეს, მაგრამ ერთი ლიდერი ყოველთვის არის. ამ თეატრისთვის თენგიზი იყო ასეთი და რთული იყო მისი გარდაცვალება. თანაც ასეთი ფორმის თეატრისთვის, რომელიც სპეციფიკური და ერთადერთი იყო. უნდა ყოფილიყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ღირსეულად შეაფასებდნენ თენგიზის და თეატრის ერთადერთობას, მაგრამ ასე არ მოხდა. თეატრი წლებია აღარ არსებობს. ბოლო ხანებში თენგიზი ყოველთვის ამბობდა, ჩემი გარდაცვალების შემდეგ თუ აღარ იარსებებს ეს თეატრი, მე მეორედ გარდავიცვლებიო და ეს მოახერხეს. თენგიზი ერთხელ არ გარდაცვლილა, ორჯერ გარდაიცვალა.

პანტომიმის თეატრი საერთაშორისო ფესტივალს ჩაატარებს

17 ივნისიდან 9 აპრილის ბაღში შალიკაშვილის სახელობის პანტომიმის, პლასტიკისა და მოძრაობის საერთაშორისო ფესტივალი აიღება სტარტს.

ფესტივალის ორგანიზატორები მაყურებელს 5 დაუვიწყარ დღეს ჰპირდებიან. კლასიკური, პანტომიმის ჟანრის წარმოდგენების გარდა, სტუმრები თავბრუდამხვევ, თანამედროვე პერფორმანსებს დაესწრებიან და პლასტიკის, ქორეოგრაფიისა და მოძრაობის ნაზავს იხილავენ.

ქართველ მსახიობებთან ერთად, სცენას უცხოელი სტუმრები დაიკავებენ. საქართველოს პირველად ესტუმრებიან ესპანეთის თეატრის მსახიობები. ბარსელონელი არტისტები სპექტაკლს ფესტივალის მიწურულს გამართავენ და თანამედროვე, ევროპულ დადგმას წარმოადგენენ.

შალიკაშვილის სახელობის პანტომიმის, პლასტიკისა და მოძრაობის საერთაშორისო ფესტივალი წარმოადგენს თეატრის მუსიკალური ბენდისა და თეატრის პერფორმანსს, ანუკა მურვანიძის შოუს პანტომიმის თეატრის მსახიობებთან და მოდელებთან ერთად, ელექტრონული მუსიკის ღამეს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართველი და უცხოელი ელექტრონული მუსიკის არტისტები.

ფესტივალზე გაცოცხლდება მხატვარ რუსუდან ფეტვიაშვილის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები პანტომიმის თეატრის მსახიობებთან ერთად. პანტომიმის თეატრი ითამაშებს ამირან შალიკაშვილის სპექტაკლს „ვეფხისტყაოსანი“, დავით შალიკაშვილის სპექტაკლს „ნატვრის ხე“.

ფესტივალს დახურავს სპეციალური სტუმარი, ესპანეთის თეატრი, რომელიც მაყურებელს დაუვიწყარ და გამორჩეულ სანახაობას შესთავაზებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი
8 ივნისისთვის

ვერძი – გრძნობების გამოვლენა სარისკოა. საღამოს საინტერესო ამბავს შეიტყობთ ან დიდი ხნის უნახავ მეგობარს შეხვდებით. **კურო** – გარშემომყოფებთან ურთიერთობისას სიფრთხილე გმართებთ. ემოციებს ნუ აჰყვებით. **ტყუპები** – ძლიერდება აურა, სასიცოცხლო პოტენციალი. შთაგონება გეწვევათ, რომელსაც ხორცს საკმაოდ იოლად შეასხამთ. **კირჩხიბი** – მატერიალური კუთხით პრობლემური დღეა. შემოსავალ-გასავალი მკაცრად აკონტროლეთ. **ლომი** – ინტიმურ სფეროში გიმართლებთ. ასევე სასარგებლო იქნება მეგობრებთან კონტაქტი და ახალი საქმის დაწყება. **ქალწული** – დაუფიქრებლობა, ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება დაგაზარალებთ. ალკოჰოლს ერიდეთ. **სასწორი** – პირად ცხოვრებაში შექმნილ პრობლემებს მარტივად მოაგვარებთ. დღეს კარგად დაისვენეთ. **ღრიანკალი** – ეს დღე უთუოდ ბავშვებსა და ოჯახის წევრებს მიუძღვენით. ხალხმრავალ ადგილებს მაქსიმალურად ერიდეთ. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი, თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა იზრდება. საკუთარი პოზიციების დაცვას იოლად მოახერხებთ. **თხის რქა** – მოულოდნელობებით აღსავსე დღეა. მთავარია, შანსი ხელიდან არ გაუშვათ. **მერწყული** – საყვარელ ადამიანს მეტი ყურადღება დაუთმეთ. თავს ბედნიერად გრძნობთ. **თევზები** – კეთილისმყოფელი ტენდენციები გრძელდება. შესაძლოა, დაგაწინაურონ კიდეც. იზრუნეთ პროფესიონალურ სრულყოფაზე.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. გერმანელი ფიზიკოსი, კვანტური მექანიკის ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 2. ინდოელი მოჭადრაკე მამაკაცი, დიდოსტატი; 3. ძვირფასი ლითონების მიღების მეტალურგიული პროცესი; 4. ძილის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 5. თხელი, დაბეგვილი ხორცის ნაჭრისგან დამზადებული კატლეტი; 7. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი, სტალინური პრემიის ლაურეატი; 11. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 12. სრული მარცხი, კრახი; 13. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 14. ქარის მიმართულებისა და სიჩქარის განმსაზღვრელი მეტეოროლოგიური ხელსაწყო; 15. კოლუმბიელი პოპვარსკვლავი ქალი; 17. სპორტული საფარიკაო იარაღი; 19. იაპონური ურითმო ლექსი.

თარაზულად: 5. მთავარი ბუდისტური მონასტერი ტიბეტში; 6. უბანი ძველ თბილისში; 8. ვახტანგ გორგასლის ვაჟიშვილი; 9. სამეჯლისო ცეკვა; 10. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 11. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 13. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 14. შემთხვევით ჩავარდნილი შარი ბილიარდში; 16. მასობრივი სირბილი; 18. ნავსადგური ისრაელში; 20. ნახშირის სახატავი ფანქარი; 21. მოკლე საესტრადო, საცირკო ნომერი.

შეადგინა თ.კობალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ყუმი; 2. აპაჩი; 3. შტატი; 5. ნადული; 6. კემპინგი; 9. ესკადრილია; 10. ვანდალები; 11. ჯვრისწერა; 14. ურო; 16. ბატიკა; 18. ლიდა.

თარაზულად: 1. ყავარი; 4. დინამიკა; 7. სავანა; 8. ტრიბუნი; 12. აკაბა; 13. დურუჯი; 15. იდიოტი; 17. ნიუ; 19. აზერბაიჯანი; 20. ვახტი; 21. სამაია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჩაქურა; 2. ვლტავა; 3. ტელფერი; 4. სინდისი; 5. რომანსი; 7. ბოცმანი; 11. თერგი; 12. აიაქსი; 13. კაზუარი; 14. მასტიფი; 15. ხუცესი; 17. ანხელი; 19. დოღი.

თარაზულად: 5. რაფაელი; 6. გოლეული; 8. ვაცი; 9. ტესტი; 10. ნევადა; 11. თული; 13. კინტრიში; 14. მარკა; 16. ჩაუქი; 18. შოუდუ; 20. ფარლული; 21. სტილეტი.

გამოხმაურება

სეპარატისტულმა ხელისუფლებამ ქართული გეოგრაფიული სახელები აფხაზური სახელწოდებებით მასობრივად შეცვალა

„ახალ თაობაში“ (30 მაისი, 2017 წ. №126) გამოქვეყნდა ინფორმაცია სათაურით „რუსებმა ილორს სახელი გადაარქვეს“. მასში ნათქვამია, რომ ჯერ ტაძრის კედლები შეათეთრეს, შემდეგ ხახვისებური გუმბათი დაადგეს, ახლა კი სახელიც შეუცვალეს. გიორგი კალანდიას ცნობით, „ილორისთვის მართლმადიდებელ ერთმორწმუნეებს იერსახესთან ერთად, სახელიც შეუცვლიათ და „ელირი“ დაურქმევიათ“. ამ ცნობამ ქართველი საზოგადოების სავსებით სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია.

საქმე იმაშია, რომ 1992-1993 წწ. აფხაზეთის ომის შემდეგ სეპარატისტულმა ხელისუფლებამ ქართული გეოგრაფიული სახელები აფხაზური სახელწოდებებით მასობრივად შეცვალა ან ტრანსკრიფციული ცვლილებები განახორციელა, რაც „ისტორიული სამართლიანობის“ აღდგენით აიხსნა. მაშინ შეიცვალა საბჭოთა პერიოდში შერქმეული ქართული სახელები აფხაზური სახელებით, რომლებიც XIX საუკუნეში ერქვა ამ პუნქტებს, მაგ. განთიადს ეწოდა ცანდრიფშ, ლესელიძეს – გეჩრიფშ, ხეივანს – ამზარა, შრომას – გუმა, ოდიშს – აკაფა. იმავდროულად, ისტორიული ქართული სახელებიც შეიცვალა აფხაზური სახელებით. ასე, მაგალითად: სოფ. მოქვს, რომელიც საისტორიო წყაროებში VII საუკუნიდან იხსენიება, მიქუ დაარქვეს, სოფ. ოქუმს – აგუავიარა, ჩხორთოლს – ჩხუართალ, ღუმურიშს – ღუმრიშ, მუხურს – მახურ, ეწერს – ლბაარხა, ჟირღალიშქას – აკვარაბჟარა, გუდავას, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ X საუკუნის ამბების თხრობისას იხსენიება „გუდაყვა“ ფორმით, გუდაა უწოდეს და ა. შ. სწორედ მაშინ დაერქვა ილორს ელირ, რაც ქართული სახელწოდების აფხაზური ფორმაა.

აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტის 2013 წლის 11 დეკემბრის დადგენილებით, იმ სოფლებს, რომელთაც ჯერ კიდევ ჰქონდა შერჩენილი ქართული სახელები, ასევე აფხაზური ჟღერადობის სახელები დაარქვეს: პირველ ოტობაიას – ხაშტა, მეორე ოტობაიას – ბგოურა, ფიჩორს – ბჩარა, ჭუბურხინჯს – ხიაცხა, ნაბაკევს – ბათაიგუარა, დიხაზურგას – აბააქოთ, ოკვინორეს – ციღტვარა. როგორც „აფსნიპრესი“ იუწყებოდა, სახელწოდებები „ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით“ შეიცვალა, თუმცა წყაროები, სადაც ეს აფხაზური სახელწოდებები არის დაფიქსირებული, ბუნებაში არ არსებობს.

მიჩნეულია, რომ ტოპონიმიკა მიწის ენაა, ხოლო მიწა წიგნია, სადაც კაცობრიობის ისტორია გეოგრაფიული ნომენკლატურით არის ჩაწერილი. გეოგრაფიული სახელწოდებების შეცვლა ისტორიული ინფორმაციის დაკარგვას, ხოლო ამგვარ სახელთა მასობრივი გადაკეთება ხალხის ისტორიულ-კულტურული მეხსიერების მოშლას იწვევს. ამდენად, ყველასათვის ნათელია, რომ ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების აფხაზურით შეცვლა აფხაზეთში ქართველთა ცხოვრების კვალის საბოლოოდ წაშლას ისახავს მიზნად.

რაც შეეხება ილორის წმ. გიორგის ეკლესიას. ის მდებარეობს ოჩამჩირის რაიონის სოფ. ილორში. აგებულია ოდიშის საერისთავოში XI საუკუნის I მეოთხედში. ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1758) ცნობით, „ზღვის კიდეზედ... არს ილორს ეკლესია წმიდის გიორგისა... უგუმბათო, მცირე, მდიდარი და შემკული.“

ეკლესია დარბაზული ტიპისაა, იმდროინდელი ქართული არქიტექტურისათვის დამახასიათებელი მოხდენილი პროპორციებით. იგი აფსიდით დასრულებული ერთნავიანი ნაგებობაა, რომელსაც ჩრდილოეთით, სამხრეთით და დასავლეთით სხვადასხვა დროინდელი მინაშენები აქვს. ეკლესიას კარები დასავლეთიდან და სამხრეთიდან აქვს, ხოლო შიდა სივრცე განათებულია ექვსი სარკმლით. ეკლესია მოხატული იყო ფრესკებით. უკანასკნელ ხანებამდე ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე ჩასმულ ქვის ფილებზე შემორჩენილი იყო ხუთი ქართული ლაპი დარული (ქვაზე ამოკვეთილი) წარწერა:

„წმიდაო გიორგი ილორისაო, შეიწყალე გიორგი“.

„ქ. წმიდაო გიორგი, შეიწყალე მთავარეპისკოპოზი გიორგი“.

წარწერის ფრაგმენტი: „ქ. წმიდაო გიორგი ილორისაო შეიწყალე...“

„წმიდაო გიორგი ილორისაო, შეიწყალე გიორგი გურგენის ძე“.

„წმიდაო გიორგი, შეიწყალე გიორგი ქოჩოლავა მღვდელი; წმიდაო გიორგი მფარველ მექმენ დიდსა ამას დღესა“.

მეექვსე ქართული წარწერა, რომელიც ასევე ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზეა ამოკვეთილი, სამსტრიქონიანია, თუმცა არ იკითხება.

ტაძრის ლაპიდარულ წარწერებში ადგილობრივი საერო და საეკლესიო ხელისუფალნი იხსენიებიან. მთავარეპისკოპოსი გიორგი, როგორც ჩანს ბედიელი მღვდელმთავარია, ხოლო გიორგი გურგენის ძე – ადგილობრივი დიდებული, რომელიც ტაძრის მშენებლობაში განეული ქტიტორული ღვაწლისათვის სავედრებელ წარწერაშია მოხსენიებული; გიორგი ქოჩოლავა კი – ამ ტაძრის მღვდელმსახური.

საგულისხმოა, რომ ილორის წმ. გიორგის ეკლესიის წარწერებში წარმოდგენილია ქართული დამწერლობის განვითარების სამივე საფეხური: ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული. წარწერები ტაძრის მშენებლობის პერიოდით, XI საუკუნის I მეოთხედით თარიღდება და საინტერესოა იმ მხრივ, რომ დამწერლობის სამივე სახე ერთი და იმავე დროისაა; ერთი და იგივე პირი ჩანს ამ წარწერების ამომკვეთიც.

ილორის წმ. გიორგის ეკლესიის უმთავრეს სარწმუნოებრივ რელიკვიას წმ. გიორგის კარედი ხატი წარმოადგენდა. ხატის ღუსკუმაზე მოთავსებულია 15 სტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერა, რომელიც მოგვითხრობს ბედიე ლი მიტროპოლიტის კირილე ჟუანისძის (XVI ს.) მიერ ილორის ტაძრისადმი წმინდა გიორ გის ხატის შეწირვის ამბავს. წარწერაში ასევე იხსენიებიან ოდიშის მთავარი გიორგი III დადიანი (1572-1582 წწ.) და მისი თანამეცხედრე დედო ფალი თამარი. ხატი დაცულია ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

ილორის ტაძარზე განსაკუთრებით ზრუნავდა ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი (1611-1657 წწ.). მისი ბრძანებითა და სახსრებით შეკეთდა ილორის წმ. გიორგის ეკლესია. მან ტაძარს შესწირა მამულები, გლეხები, ოქროქსოვილი, შეამკო ჯვარ-ხატებით. XVIII საუკუნეში ილორის წმ. გიორგის ეკლესიას იმერეთის მეფეებმა ალექსანდრე V-მ (1720-1752 წწ.), სოლომონ I-მა (1752-1784 წწ.), დავით II-მ (1784-1789 წწ.), სოლომონ II-მ (1789-1810 წწ.) ყმები და მამულები შესწირეს.

XIX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის კონსული თბილისში ჟაკ ფრანსუა გამბა აღნიშნავდა: „აფხაზები და მეგრელები განსაკუთრებულ თაყვანს სცემენ ილორს; გიორგი ქოჩოლავა კი – ამ ტაძრის მღვდელმსახური.“

ილორის წმიდა გიორგის ეკლესია დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საეკლესიო ცენტრს წარმოად გენდა და დღემდე ასეთად რჩება. აქ, 10 ნოემბერს (ახ. სტ. 23 ნოემბერი), იმართებოდა ილორობა – გიორგობის ხალხური დღესასწაული, სადაც მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა იყრიდა თავს. ილორობა ყველაზე დიდი დღესასწაული იყო დასავლეთ საქართველოში და დღემდე ასეთად დარჩა. იგი იმართებოდა შუა საუკუნეებში, და შემდეგაც, და დღესაც იმართება გარკვეული სახეცვლილებებით.

2008 წელს რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგ ილორის წმ. გიორგის ეკლესიის არქიტექტურული იერ-სახე შეიცვალა: ეკლესიას რუსული მცირე გუმბათი დააშენეს, ფასადი თეთრად შეღებეს, რომელსაც მოწითალო კანტები დაუყვება. ამით ეკლესიამ დაკარგა ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლისათვის დამახასიათებელი იერი, დამახინჯდა მისი იერ-სახე და რუსულ სამრევლო, სოფლის ეკლესიას დაემსგავსა. აღმოსავლეთის ფასადი, სადაც ქართული წარწერები იყო ამოკვეთილი, მთლიანად შელესილია. შეიცვალა ეკლესიის ინტერიერიც, ფრესკები შეათეთრეს.

ილორის წმ. გიორგის ეკლესიის არქიტექტურული იერ-სახის შეცვლამ შეა შფოთა როგორც ქართული, ისე აფხაზური საზოგადოება. აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამმართველოს უფროსმა დემურ ბუანიამაც აღიარა, რომ ეკლესიის იერ-სახე მართლაც შეიცვალა. როგორც ჩანს, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას არ შესწევს იმისი ძალა, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლებას. აღსანიშნავია, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში სავალალოა სხვა ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების – ბედიის, დრანდის, ღიხნის, ღალიძგის ტაძრების მდგომარეობა, რაც საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან დროულად რეაგირებას საჭიროებს.

ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების სახის შეცვლით რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლება ცდილობს საბოლოოდ წაშალოს ქართული კვალი აფხაზეთში.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის დოქტორი ბეჟან ხორავა

კრისტის აუქციონზე ქართველი მხატვრის ორი ნამუშევარი გაიყიდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

როპული კოლექციიდან იყო წარდგენილი. გასულ წელს, სოტბის აუქციონზე მხატვრის კიდევ ორი ნამუშევარი გაიყიდა – „ლეოპარდი“ 26.250 ათას ფუნტ სტერლინგად და „300 არაგველი“ 62.500 ფუნტ სტერლინგად.

კრისტის აუციონზე მერაბ აბრამიშვილის კიდევ ორი ნამუშევარი მოხვდა – „ფარშევანგი“ და „გეთსიმანიის ბაღი“, რომელიც სახვითი ხელოვნების მოყვარულთა კოლექციებში საკმაოდ სოლიდურ ფასად მოხვდა.

დემნა გვასალიას მოდის ოსკარი გადაეცა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ადგილი დაემკვიდრებინა. სხვადასხვა სამოდელო სახლებში მუშაობის შემდეგ, დემნა ბალენციაგას კრეატიული დირექტორი გახდა, მისი ბრენდი „ვეტმენსი“ კი მსოფლიო ვარსკვლავებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. დემნა გვასალია ჟურნალისტებთან ღიად საუბრობს თავის ორიენტაციაზე და არც საყვარელი მამაკაცის ვინაობას მალავს. მისი რჩეული მოდელი ლოიკია, რომელიც დემნა გვასალიას კოლექციების ჩვენებებშიც აქტიურად იღებს მონაწილეობას.

სალომე კორკოტაშვილი ამერიკაში ტოპ ხუთეულში დაასახელეს

მომღერალმა სალომე კორკოტაშვილმა ამერიკაში კიდევ ერთი წარმატებას მიაღწია.

ინფორმაცია და ვიდეოჩანაწერი ამის შესახებ სოციალურ ქსელში სალომე კორკოტაშვილმა თავად გაავრცელა:

– ასე ემოციურად არასდროს არ მიმღერია! ამერიკელების შეფასებამ მოლოდინს გადააჭარბა! მითხრეს, ტოპ ხუთეულში შევდივარ და მათ მიმიწვიეს სუპერ ბოულზე, რომ სტადიონზე ვიმღერო ამერიკის ჰიმნი! მინდა მადლობა ვუთხრა დათუნა სულიკაშვილს ასეთი ჯადოსნური კაბისთვის და ჩემს ახალ ოჯახს საქართველოს საელჩოს ვაშინგტონში!

რაჭაში ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია აღდგენილია

კლდისუბანი ამბროლაურის რაიონში, მდინარე რიცეულას ხეობაში მდებარეობს. ამ ულამაზეს სოფელში ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია დგას, რომელიც უმძიმს მდგომარეობაში იმყოფებოდა და სასწრაფო რეაგირებას საჭიროებდა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდთან ერთად ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო და რამდენიმე ეტაპად განახორციელა. სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად აღდგა ტაძრის მინაშენების საპირე წყობა კირქვისა და შირიმის გათლილი ქვებით, აღდგა სამხრეთის მინაშენის კამარა, საბჯენი თაღი და პილასტრები, აღდგა სამხრეთის მინაშენის ლავგარდანი კირის ხსნარზე, ტაძრის ცენტრალურ ნავზე და ჩრდილოეთ მინაშენზე აღდგენილია თარო კარნიზი კირის ხსნარზე, აღდგენილია ჩრდილოეთ მინაშენის საპირე წყობა შირიმის გათლილი ქვებით კირის ხსნარზე, აღდგენილია კარ-სარკმლების წრთხლები კირქვის გათლილი ქვებით კირის ხსნარზე, მოიჭრა გრუნტი საყრდენი კედლის მოსაწყობად, საყრდენი კედელი მოპირკეთდა ფლეთილი ქვებით, სახურავი აღდგენილია რუხი ფერის თუნუქით ლორფინის იმიტაციით.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პროგრამა

ხუთშაბათი 8 ივნისი

06.00 მუსიკა პირველზე **07.00** დოკ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **08.00** ანიმაცია. "მადაგასკარის პინგვინები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ტელემანი" **12.50 რაგბი.** მსოფლიო ჩემპიონატი **20** წლამდე მორაგბეთა შორის. **ფოტლანდია - იტალია 14.40** დოკ/ფ "პორტრეტი" **15.20 რაგბი.** მსოფლიო ჩემპიონატი **20** წლამდე მორაგბეთა შორის. **არგენტინა - ს/აფრიკა 17.10** რაგბის წინასამატჩო. **17.50 რაგბი.** მსოფლიო ჩემპიონატი **20** წლამდე მორაგბეთა შორის. **საფრანგეთი - საქართველო 19.40** მატჩის შემდგომი **20.00** "მოამბე" **20.20 რაგბი.** მსოფლიო ჩემპიონატი **20** წლამდე მორაგბეთა შორის. **ინგლისი - ავსტრალია 22.20** "ინტერვიუ სალომე ასათიანთან" **22.50** "ვექტორი" **23.20** "უცნობი მუსიკა" **00.50** მხ/ფ "**საგნების ფორმა**" (რ.ვისი) **02.50** "C სტუდია" **03.50** "რეალური სივრცე"

08.00 დოკ/ფ "პირველი ეთიოპელი ბერების კვალდაკვალ" **09.00** დოკ/ფ "ისლანდია-ყველაზე ახლოს ვულკანთან" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** დოკ/ფ "ქვეყანა ბავშვების გარეშე" **11.05** დოკ/ფ "იმპრესიონისტული სკანდალი" **12.00, 22.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **12.50 რაგბი - 20** წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი" ჯგუფური ტურნირი. **უელსი-სამოა 14.40** დოკ/ფ "მსოფლიო ოდისეები" - "პერუ" **15.20 რაგბი - 20** წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი" ჯგუფური ტურნირი. **ირლანდია - ახალი ზელანდია 17.10** დოკ/ფ "ლანსის ლუვრი-დროის გალერეა" **18.00** "ბრიფინგის დრო" **19.00** "თვისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **23.00** "მოამბე" (**3** ენაზე) **00.00** "ნამდვილი დრო" **00.30** ტ/სერ. "**კატერინა და მისი ძალიშვილები**"

05.50, 14.40 სერ. "**ელიფი**" **07.30** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.05** ქრონიკა **08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **10.05** სერ. "**პაპარაძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** სპორტი იმედზე **00.30** მხ/ფ "**პოლიციელი ბევერლი ჰილზიდან 2**" **02.20** მხ/ფ "**კაცი ჩანთით**"

06.00 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსამის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფარიპას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**ბნდური საბა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.30** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **19.57** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსამის რისხვა**" **22.00** პროფილი

09.00 სერ. "**ერთხელ ზღაპარში**" **13.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **15.00** სერ. "**ანტიმაფია**" **17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **19.00** სერ. "**შავი სია**" **21.00** სერ. "**გაფიოზი**" **22.30** მხ/ფ "**ვინკოკი**" **00.15** მხ/ფ "**პიანო**" **02.30** მხ/ფ "**ველური, ველური დასავლეთი**"

06.15 ქრისტიანული სწავლება **06.25** მუს. პაუზა **06.40** პატერიკი-ხატის მიერ მოხდენილი სასწაული **06.45** დ/ფ "პროფესია კინორეჟისორი-სოსო ჩხაიძე" **07.25** ქართული ალბომი **07.50** სამყაროს შექმნა **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან-"მარიამ დედოფალი" **10.40** საღვთისმეტყველო საუბრები **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.00** ბავშვები მუზეუმში **15.05** ქართული ან/ფ **15.25** ტრაპეზი-"ხბოს ხორცი სოკოთი, ვაშლი ნიგვზითა და თაფლის შიგთავსით" **15.35** დ/ფ "ველური ბუნება"-პაქტი ჟირაფებთან **16.00** კონცერტი "აღდგომიდან ამაღლებამდე"-"ნორმა" I ნაწ. **16.25** ქრისტიანული ხელოვნება-"სულთმოფფნობის იკონოგრაფია" **17.30** ჩვენი ფონდი **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.15** წმინდანები **22.20** ჩვენი საგანძური **22.40** დ/ფ **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** ივერიის ეკლესია-"ქართლის მოქცევა" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.25** დ/ფ "სინადგილი უფლისა და ადამიანის შეხვედრისა" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია"მაშა და დათვი" **8.15** დოკ/ფ "კაცი,ქალი,ბუნება" **9.00** სერ. "**ორი გული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 2.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30, 18.50, 20.55, 22.50** სერ. "**ბარისა** " **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** თოქ-შოუ"ცეცხლის ხაზი" **0.00** "კონტაქტი" **0.30** დოკ/ფ "მედიუმი ლონგ აილენდიდან" **2.00** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

8 ივნისისთვის

- აშშ დოლარი — 2.4233
- ევრო — 2.7235
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1268
- 100 რუსული რუბლი — 4.2725

ამინდის პროგნოზი 8 ივნისისთვის



1 ივნისიდან

ონორე დე ბალზაკი
გამქრალი ოცნებანი
წიგნი I

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

6 ივნისიდან

ონორე დე ბალზაკი
გამქრალი ოცნებანი
წიგნი II

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

9 ივნისიდან

საქართველოს მეფეთა ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

იუმორი

ავტობუსში პანკი ავიდა დახეული ტანსაცმლით, თმები მრავალფრად შეღებილი აქვს და ხანდაზმული მამაკაცის პირდაპირ დაჯდა. მოხუცმა დიდხანს ათვალიერა ახალგაზრდა. ბოლოს პანკმა ვეღარ მოითმინა და ეკითხება:

– რა მოხდა, ახალგაზრდა არ ყოფილხარ, უცნაური არაფერი გიკეთებია?

– როგორ არა, ახალგაზრდობაში მეზღვაურად ვმსახურობდი გემზე. ერთხელ სინგაპურში ისე საშინლად დავთვერი, რომ დიდი თუთიყუში შემომეპატიურა. ჰოდა, ახლა გიყურებ და ვფიქრობ, ჩემი შვილი ხომ არ ხარ?

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– გოგო, გავიგე, რომ გახდომისთვის ნახშირი ყოფილა კარგი...

– დასალევად თუ გადმოსატვირთად?

●●●

შვილი მამას აფთიაქის მინაზე დახატულ მაღალფეხიან ჭიქაზე შემოხვეულ გველზე მიანიშნებს და ეკითხება:

– მამა, ეს რა ხატია?

– ეს ბებიაშენი ნაყინს ჭამს!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ჩემ ცოლს გვირილები უყვარს.

– შენი შემოსავლის პატრონს არც ის გამიკვირდებოდა, შენ ცოლს კამა რომ შეყვარებოდა...

●●●

ფსიქიატრი მამაკაცს ეკითხება:

– აბა, რის გამო დაგეწყოთ დეპრესია?

– იცით რა, ექიმო, ჩემმა ყოფილმა ცოლმა ჩემი ამჟამინდელი ცოლი გაიცნო.

– მერე?

– თავიდან ჯერ იჩხუბეს, შემდეგ შერიგდნენ და ორივემ ერთად ჩემ მომავალ ცოლს სცემეს...

●●●

ქმარი სახლში თვალჩაღურჯებული დაბრუნდა. ცოლი ეკითხება:

– რა დაგემართა?

– სამსახურში კოლეგას ვეჩხუბე.

– რატომ?

– სამსახურში ცოლმა ძაღლთან ერთად მოაკითხა, მე კი ძაღლზე მივანიშნე და შევეკითხე, „ესეც ძუკნაა?“

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

კრისტის აუქციონზე ქართველი მხატვრის ორი ნამუშევარი გაიყიდა

ქართველი მხატვრის, მერაბ აბრამიშვილის ორი ნამუშევარი „ირმები“ და „მფარველი ანგელოზი“ კრისტის აუქციონზე გაიყიდა.

აუქციონი 5 ივნისს გაიმართა. ქართველი მხატვრის ორივე ნამუშევარი რუსულ სექციაში იყო წარმოდგენილი. კრისტის აუქციონის ვებგვერდის მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით „ირმები“ 6.000 ფუნტ სტერლინგად, ხოლო „მფარველი ანგელოზი“ 16.250 ფუნტ სტერლინგად გაიყიდა.

ექსპერტების აზრით, ნამუშევრების საბოლოო ფასი, რომელსაც გარკვეული გადასახადები ემატება, აუქციონის ვებგვერდზე მოგვიანებით განთავსდება.

მერაბ აბრამიშვილის ნამუშევრები კრისტისა და სოთბის აუქციონებზე ხშირადაა წარმოდგენილი და წარმატებით იყიდება.

2 წლის წინ მერაბ აბრამიშვილის ნამუშევარი „პიანინო“ სოთბის აუქციონზე 25.000 ფუნტ სტერლინგად გაიყიდა. ნახატი აუქციონზე ევ-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

არდა ტურანი ნაკრებიდან მოკვეთეს

თურქეთის ნაკრების და ბარსელონას ფეხბურთელი არდა ტურანი ეროვნული ნაკრებიდან მოკვეთეს.

ამის მიზეზი ის არის, რომ ტურანს ჩხუბი მოუვიდა ერთ-ერთ თურქ ჟურნალისტთან, რომელიც მასთან ერთად თვითმფრინავში იმყოფებოდა. ტურანმა ჟურნალისტი სიცრუის გავრცელებაში დაადანაშაულა, რასაც ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა.

საბოლოოდ ტურანი ნაკრებიდან მოკვეთეს, რაზეც არდამ განაცხადა, რომ ის ისედაც აპირებდა ნაკრებში კარიერის დასრულებას.

არდა ტურანს კარიერის მანძილზე თურქეთის ნაკრებში 96 შეხვედრა აქვს ჩატარებული.

მოამზადა ბექა გოგანაშვილმა

დემნა გვასალიას მოდის ოსკარი გადაეცა

ქართველ დიზაინერს დემნა გვასალიას, რომელიც ბალენციაგას დირექტორია, მოდის სამყაროში არსებული უმაღლესი ჯილდო – მოდის ოსკარი გადაეცა. ამ ჯილდოს მიღებით ქართველი დიზაინერი წლის დიზაინერად მთელმა მსოფლიომ აღიარა.

ყველაზე პრესტიჟული და პოპულარული ჯილდო ბალენციაგას ხელმძღვანელმა ნიუ იორკში გამართულ დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე მიიღო. დემნა გვასალიამ თავისი ჯილდო ძმას გურამ გვასალიას და ბებიას მიუძღვნა. გურამ გვასალია დემნასთან ერთად მუშაობს და მას ფინანსური საკითხების მოგვარებასა და პროდუქციის გაყიდვების საკითხების მოგვარებაში ეხმარება.

მოდის ოსკარის ორგანიზატორების განცხადებით, დემნა გვასალიამ თავისი უჩვეულო და ორიგინალური კოლექციებით მოდის სამყაროში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა. მოდელიორმა მოდის სამყაროში უმაღლესი ჯილდო „ვეტმანისა“ და „ბალენსიაგასთვის“ შექმნილი ბოლოდროინდელი კოლექციებისთვის ერთხმად მიიღო.

წლის ყველაზე პრესტიჟული დაჯილდოების ცერემონიალი ნიუ იორკში 33 წელია იმართება. ნომინანტებს მოდის სფეროში მოღვაწე 1500-კაციანი ჟიური ასახელებს. წლის საუკეთესოები კი, ხმათა უმრავლესობით ვლინდება.

დემნა გვასალია სოხუმელია. ის საქართველოდან წლების წინ წავიდა და მრავალი წლის განმავლობაში ცდილობდა მოდის სამყაროში თავისი

გაგრძელება მე-11 გვერდზე

თეთრი ზვიგენი კალიფორნიაში ბაიდარს აედევნა

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ სანტა-კრუზის მცხოვრებმა, რომელიც ზღვაში ბაიდარით იყო გასული, ვიდეოზე გადაიღო, თუ როგორ დასდევდა უკან თეთრი ზვიგენი.

ახალგაზრდა თეთრი ზვიგენი რამდენიმე წუთის მანძილზე დაცურავდა ბაიდარის ირგვლივ, თუმცა საბოლოოდ თავს მაინც არ დასხმია. ვიდეოში მამაკაცმა აღნიშნა, რომ მტაცებელი ყოველი წრის შემდეგ სულ უფრო უახლოვდებოდა მის ნავს და ასევე განაცხადა, რომ წყალზე კიდევ ერთი ზურგის ფარფლი შენიშნა.

– ძალიან მაგარია! – აღგზნებულმა აღნიშნა კომენტარში მამაკაცმა.

ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა აღნიშნავს, რომ ზვიგენთან შეხვედრას მენავეში არა თუ შიში არ გამოუწვევია, არამედ პირიქით, აღაფრთოვანა. მისივე თქმით, ის უბრალოდ გაკვირვებული იყო იმით, რომ მტაცებელი თევზი ასე დიდხანს მისდევდა და უთვალთვალებდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი ১



შვეულად: 1. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 2. ნიგერიის დედაქალაქი; 3. მბრუნავშამფურებიანი ელექტროღუმელი; 5. ციხე-სიმაგრე მესხეთში; 6. ებრაელთა უბანი ძველ თბილისში; 9. ავადმყოფური შიში, გამოწვეული საკუთარ ჯანმრთელობაში დაეჭვებით; 10. ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო; 11. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 14. საკვები პროდუქტების ზედაპირზე გაჩენილი სოკოვანი ქსელი; 16. თურქული აბანო; 18. მეტყველების ნაწილი გრამატიკაში.

თარაზულად: 1. არაბი გლეხი; 4. მთიდან მოვარდნილი ნიაღვარი; 7. თაღლითი ბანქოს თამაშში; 8. ქიმიური ინდიკატორი; 12. ქართული მოკლე, უვადო ხმალი; 13. მტვირთავი მუშა ნავსადგურში; 15. კინოფესტივალის სახელწოდება იტალიაში; 17. სახოტბო ლექსი; 19. პოლიციის ქვედანაყოფი საფრანგეთში; 20. ღვინის სასმისი; 21. ტყავის დამამუშავებელი ოსტატი ძველად.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა